Georgische Zeitung „SAKARTHWELO“

საქართველო

N 7 (84) გამოც. მე-ვ წელი. ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი ბერლინი. 12 თებერვალი, 1944 წ.

ახალი მანევრი დემოკრატიის ნიღბით

კაცობრიობა მოწმე გახდა იდეოლოგიურად გახრწნილი ბოლშევიკური ქამელეონის კიდევ ერთი თვალთმაქცური ტრიუკისა. სტალინური ხროვა, გაება რა მის მიერ წამოწყებული ომის ხლართში, მზაკვრულად იცვლის ტყავს, დაუზოგველად იგლეჯს უკანასკნელ მარქსისტულ ტანსაცმელსაც კი, რათა შეინარჩუნოს და განამტკიცოს თავისი დიქტატურა დამონებულ ხალხზე. მცირე ტერიტორიული წარმატებებით, რომლებიც ნაყიდია მილიონობით მუშებისა და გლეხების ახალი ზღვა სისხლით, თავბრუდახვეული სტალინი, კრემლის ეს ობერჟონგლიორი, ცბიერად შლის კარტს და ასრულებს მორიგ ილუზიონურ მანევრს პლუტოკრატი მოკავშირეების დასარწმუნებლად, რომ ბოლშევიზმი მიდის „ევოლუციის“ გზით დემოკრატული თავისუფლების მხრივ და იგი აღარ წარმოადგენს საშიშ მეგობარს ლონდონისა და ვაშინგტონისათვის.

მოსკოვის რადიომ ამ რამდენიმე დღის წინათ ქვეყანას ამცნო ახალ ცვლილებათა შესახებ სტალინურ კონსტიტუციაში. თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატები, საერთო-საკავშიროდან, რეორგანიზებული არიან მოკავშირე კომისარიატებად. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებით, მოკავშირე რესპუბლიკებმა უნდა მიიღონ ფართო ავტონომია, „დამოუკიდებლად“ დასდონ ხელშეკრულებანი უცხო სახელმწიფოებთან, იყოლიონ იქ თავიანთი წარმომადგენლები, გარდა ამისა მათ ენიჭებათ უფლება ჰყავდეთ საკუთარი შეიარაღებული ძალა — არმია, — ერთი სიტყვით, თითქოს სრული დამოუკიდებლობა!

ინგლის-ამერიკული პრესა აღფრთოვანებისაგან თავდავიწყებული გაჰყვირის კონსტიტუციის ამ ცვლილებათა შესახებ, ლაყბობს დემოკრატიის დიად პრინციპებზე, რომელთა გატარების გზას თითქოს დაადგა სტალინი. სტალინის პლუტოკრატი პარტნიორები ამაოდ ზეიმობენ და ბუკსა სცემენ. რას ისახავს მიზნად ეს ახალი, თვალთმაქცური ოინი? თვითეული საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ნათელია, რომ მას არა აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა წითელი არმიის გასაძლიერებლად და დასავლეთი ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის. ეხლა, როცა მძვინვარებს ომი და სტალინს განუწყვეტლივ ესაჭიროება საზარბაზნე ხორცი, როცა საბჭოთა კავშირის ოლქებიდან და რაიონებიდან გამორეკილია ყველა, ვისაც კი შეუძლია იარაღის ტარება, როცა ეროვნების მიუხედავად სხვადასხვა მხარეებიდან სასაკლაოზე მორეკილი ხალხი დაქსაქსულია წითელი არმიის ნაწილებში, ცხადია, ნაციონალურ ფორმირებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. სტალინმა და მისმა ხროვამ კარგად იცის, რომ ამ შემთხვევაში საქმე ექნებოდა 16 არმიასთან, რომლის მეთაურობა არც ისე ხელსაყრელი გამოდგებოდა. **თავდაცვის სახალხო კომისარიატების შექმნა მოკავშირე რესპუბლიკებში არის არა პრაქტიკული მნიშვნელობის ღონისძიება, არამედ მაცდური ბოლშევიკური პროპაგანდის მახე.**

ასევე შეიძლება ითქვას საგარეო საქმეთა კომისარიატების შესახებ ნაციონალურ რესპუბლიკებში. ერთი დიდი საბჭოთა წარმომადგენლობის ნაცვლად, ეხლა სტალინს საშუალება ეძლევა უცხოეთში იყოლიოს 16 ასეთი წარმომადგენლობა, რომელიც, რათქმა უნდა, ბოლშევიკური პროპაგანდის შანსებს 16-ჯერ გაადიდებს.

ბოლშევიკებს სურთ აღმოსავლეთი ევროპის ერები დაარწმუნონ იმაში, რომ ბოლშევიზმის გამარჯვების შემთხვევაში, მათ არ ელით დამონება, რომ მათ შეუძლიათ შევიდნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში „თავისუფალი სახელმწიფოს“ სახით. პირველ რიგში ეს მახე დაგებულია ბალტიის ქვეყნებისა და პოლონეთისათვის. მაგრამ ბალტიის სახელმწიფოების პატარა ერებმა უკვე გამოსცადეს „განმათავისუფლებელი“ ბოლშევიზმის სისხლიანი, დამმონებელი უღელი. ამიტომ ამ ქვეყნების ხალხების ურყევი გადაწყვეტილებაა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ. ახალი „ღონისძიება“ სტალინს არ უშლის ხელს ახალი მადით გამოამზეუროს თავისი იმპერიალისტური ზრახვები და მის განსახორციელებლად დარაზმოს თავისი დამქაშები მოკავშირე რესპუბლიკებში.

სტალინი ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეშივე მოითხოვდა დაჟინებით, რომ შექმნილიყო ისეთი სახელმწიფოებრივი ფორმა, რომელიც დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, რომლებიც იარაღით მოახდენდნენ რევოლუციას, გაუადვილებდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესვლას, მაგრამ მაშინ „საამისო დრო“ არ იყო. ეხლა, როცა ეს „დრო“ მოვიდა, სტალინმა დამყაყებული იდეოლოგიური ბალაგანიდან ამოათრია ძველი სურვილი.

თვითეული ჩვენგანისათვის ნათელია, რომ „საბჭოთა სამოთხეს“ მართავდა და მართავს პარტია; მარიონეტული მთავრობები, რომლებსაც ალბათ თვალისასახვევად შეჰქმნიან ნაციონალურ რესპუბლიკებში, იქნებიან სტალინური პოლიტიკის უდღეური ტაკიმასხარები. ბოლშევიკური პარტია ერთიანია, მისი მიზანი მსოფლიო რევოლუცია — ერთიანია, ამიტომ იგი მტკიცედაა ცენტრალიზებული.

ხალხმა, რომელმაც ათეული წლობით გამოსცადა საბჭოთა სატანური რეჟიმი, იცის, რას ნიშნავს ბოლშევიკების ლაპარაკი ნაციონალურ თავისუფლებაზე. იგი მოასწავებს მილიონობით ხალხის ხოცვა-ჟლეტას და ასეული ტონობით სისხლს „მსოფლიო რევოლუციის“ სახელით. რა თახსირი და ყბადასაღებია ბოლშევიზმის თვალთმაქცობა! ბოლშევიზმი გველივით იცვლის ტყავს, მაგრამ გველი გველია. „სტალინური კონსტიტუცია“ ითვლებოდა „წმინდათა-წმინდად“ და „ხელუხლებლად“, მაგრამ განვლო რაღაც შვიდმა წელმა და იგი შეიცვალა. „სტალინური კონსტიტუციის მზე“ ეხლა იცვლება ახალი „ზემზით“, რომლის სხივები ალბათ უფრო მეტად აუტანელი და გამანადგურებელი იქნება.

საბჭოთა კავშირის ხალხებმა და იმ ერებმა, ვისი დამონებისთვისაც გაითამაშა სტალინმა განწირულის ეს უკანასკნელი ტრიუკი, იციან, რასაც ნიშნავს „თავისუფლება სსრ კავშირის ხალხთა ოჯახში“, ეს არის ბოლშევიზმის ცნობილი მეთოდი — ნაციონალური ცხოვრების მოსპობა, ნაციონალური კულტურისა და ხალხის სასიცოცხლო ძალების განადგურება.

სტალინის ახალი დემოკრატიული ნილაბი საქვეყნოდ გაშიშვლდა. ქართველი მებრძოლი ახალგაზრდობა, რომელმაც გამოსცადა სტალინური რეჟიმის საშინელებანი, იგემა ნაციონალური თავმოყვარეობის ვერაგულად შელახვა, კარგად ერკვევა ბოლშევიზმის ამ მუხანათურ მანევრში. ნაციონალიზმის ნიღაბი, რომლის აფარებასაც დღეს სცდილობენ ბოლშევიკები, მალავს ბოლშევიზმის ძველ სურვილებს, ომის გაჩაღებას, მსოფლიო რევოლუციის მოწყობას, პატარა ერების გაჩანაგებას.

ვალდებულებათა უარყოფა

ვაშინგტონიდან მიღებული ცნობით, რომელიც გადმოცემულია „აფტონტინდნინგენის“ კორესპონდენტის მიერ, ამერიკის მთავრობის მდივანმა ბერლემ, უარი განაცხადა იცნოს ემიგრანტული მთავრობები ომის შემდეგ, ვინაიდან, მისი აზრით, ამ ქვეყნების მთავრობები არჩეული უნდა იქნან თვით მოსახლეობის მიერ, და უმთავრესად მათ მიერ, რომლებიც აწარმოებდნენ იატაქქვეშა ომს.

ეს განცხადება, რომელიც გაკეთებულია ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი მოხელის მიერ, ადასტურებს იმას, რომ ინგლის-ამერიკელთა ბანაკში უარყოფენ იმ ვალდებულებებს, რაც საზეიმოდ გარანტირებული იყო ემიგრანტული მთავრობებისადმი ატლანტიკური ქარტიით.

მძიმე ქვემეხთა ბატარია „ჰუმელი“ აღმოსავლეთის ფრონტზე.

საყოველთაო მობილიზაცია ესტონეთში

ბოლშევიკური საფრთხის მოახლოებასთან დაკავშირებით დოქტორმა მეიმ, რამდენიმე დღის წინათ მოწოდებით მიჰმართა ესტონელ ხალხს, რათა დარაზმოს ყველა ძალა თავისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ესტონეთის მთავრობას აქვს ბოლშევიკებთან შეხვედრის მწარე, საშინელი გამოცდილება. ათეული ათასობით ესტონელი მამაკაცები, ქალები და ბავშვები ბოლშევიკებმა გაგზავნეს ციმბირს, რომელთა უმრავლესობა იქ დაიღუპა უმაგალითო ტანჯვაში. ამიტომ გერმანელთა მიერ ესტონეთის განთავისუფლებისთანავე, ესტონელი ხალხის დაუცხრომელი სურვილი იყო — აქტიური მონაწილეობა მიეღო მისი უსაშინელესი მტრის, ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გერმანიის უმაღლესი სარდლობის ცნობებში ამ უკანასკნელად, აღნიშნული იყო ესტონეთის „სს“ ათასეულის „ნარვას“ გმირული მოქმედება და მეორე ესტონური ათასეულის თავგანწირული ბრძოლა სამხრეთის ფრონტზე. დოქტორი მეის მოწოდება საყოველთაო მობილიზაციისათვის წარმოადგენდა მთელი ესტონელი ხალხის აზრსა და გადაწყვეტილებას დაიცვას თავისი ქვეყანა და თავისუფლება.

*

გენერალი დანკერსის მოწოდება

ლატვიის შინაგან საქმეთა მინისტრმა, გენერალმა დანკერსმა მოწოდებით მიჰმართა ლატვიის ხალხს დაიცვას სამშობლო ბოლშევიზმისაგან. თავის გამოსვლაში მან მიუთითა, რომ 1940 წელს ლატვია იძულებული იყო მუხლი მოეყარა რიცხობრივად მეტი, ძლიერი მტრის წინააღმდეგ. ბოლშევიკებმა ლატვიის ხალხს წაართვეს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რომელიც 25 წლის წინათ იყო მოპოვებული. ეხლა კვლავ უახლოვდება განადგურების შავი ღრუბლები ქვეყანას. ლატვიელ ხალხს არასოდეს არ სურდა ნებაყოფლობით შესულიყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, რომლის შესახებაც ასე გაჰყვიროდნენ მატყუარა საბჭოთა გაზეთები. ლატვიელი ხალხი პროტესტს გამოსთქვამდა მის მიმართ ჩადენილი ძალადობის აქტის წინააღმდეგ, მაგრამ იგი სისხლში იქნა ჩახშობილი.

სიტყვის დასასრულს, გენერალმა დანკერსმა მოუწოდა მთელ ხალხს, ლეგიონერებს ფრონტზე და სამოქალაქო მოსახლეობას ზურგში, მობილიზაცია უყონ ყველა ძალას —სამშობლოს საშინელი მტრის — ბოლშევიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

*

ტერორისტული თავდასხმა ჰელსინკიზე

ფინეთის ცნობათა ბიურო იუწყება, რომ კვირას, 6 თებერვალს, მტრის ძლიერი საავიაციო შენაერთები თავს დაესხნენ ქალაქ ჰელსინკის და ჩამოჰყარეს მრავალი ცეცხლწამკიდი და ამფეთქებელი ბომბი. თავდასხმისაგან დაზარალებული ქალაქის რაიონებისა და მოქალაქეთა ზარალის დაახლოებითი აღრიცხვა შუალამემდე შეუძლებელი იყო.

ფინეთის პრესა ტერორისტული თავდასხმის შესახებ

ფინეთის ყველა გაზეთი მოწინავე წერილში აღნიშნავს, კვირას, 6 თებერვალს, ჰელსინკიზე საბჭოთა კავშირის თვითმფრინავების ტერორისტული თავდასხმის შესახებ. გაზეთი „ილთა სანომატი“ სწერს: „ტერორისტული თავდასხმა, რომელიც მიმართული იყო მხოლოდ და მხოლოდ ფინეთის დედაქალაქის საცხოვრებელ რაიონებზე და არა სამხედრო ობიექტებზე, იყო მტრის მიერ მოწყობილი მეტად ძლიერი თავდასხმა, რომელიც კი ფინეთმა ამ ომში გამოსცადა“.

„ამ თავდასხმას, აღნიშნავს გაზეთი „კუპალეტი“, არავითარ შემთხვევაში არ ჰქონია სამხედრო მიზანი. მან მხოლოდ ფინეთის სამამულო ფრონტი განახლებულად წარმოგვიდგინა, რომლის დახოცილთა გვამებზე შეუძლიათ ბოლშევიკებს თავიანთი შეტევები აწარმოონ. ფინეთის ხალხი უცქერის ამ ტერორისტულ თავდასხმას, როგორც უსირცხვილო ბოროტმოქმედებას.

ასეთი ძალმომრეობის განცდის შემდეგ ფინელი ხალხისათვის გასაგებია, რომ მას მხოლოდ ერთი მტერი ჰყავს და ის ამ მტრის წინააღმდეგ ფოლადისებური სიმტკიცით იდგება.“

გაზეთი „სუომენ სოციალ-დემოკრატი“ სწერს: განადგურების ბრმა ბოდვა აღვიძებს ჩვენში ფოლადისებურ სიმშვიდეს, ჩვენ მტკიცედ გაერთიანებული ვართ მხოლოდ ერთი მიზნისათვის, რომ ჩვენი სამამულო შინაგანი ფრონტი განვამტკიცოთ“.

სქელ ნისლში ხანგრძლივი ძებნის შემდეგ მეკავშირეებმა იპოვეს გამტარის დაზიანებული ადგილი. სწრაფი მუშაობით ისინი სპობენ შეფერხებას.

ლონდონი სდუმს

პორტუგალიაში მყოფ ინგლისელთა შორის და განსაკუთრებით ინგლის-ამერიკელ მრავალ-რიცხოვან ჟურნალისტთა რიგებში გავრცელებულია მეტად დიდი მღელვარება გერმანიის ავიაციის მსხვილი თავდასხმების გამო ლონდონზე და სამხრეთ ინგლისზე.

ეს მღელვარება უფრო ღრმავდება იმის გამო, რომ ინგლისის სარდლობა ამის შესახებ მოსახლეობას არაფერს ატყობინებს. ინგლისის მთავრობამ ალბათ დუმილი არჩია, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ბრიტანეთის საინფორმაციო პოლიტიკაში ადგილი აქვს ცვლილებას.

ცხადია, დუმილის ეს ფაქტი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ **თავდასხმით მიყენებული** ზარალი მეტად დიდია.

ინგლისის საინფორმაციო აზრის ხაზის შეცვლას ჟურნალისტების წრეში იმით ხსნიან, რომ, 1940-41 წლებთან შედარებით, მოსახლეობა საშინლად დაიღალა და დაწვრილებითი ცნობების მიწოდებამ თავდასხმების შესახებ შეუძლია მათ შორის გამოიწვიოს არასასურველი რეაქცია.

*

ბრძოლები მარშალის კუნძულებზე

როგორც იაპონიის საიმპერატორო სადგომიდან იუწყებიან, ამასწინათ მოწინააღმდეგემ მოახდინა თავდასხმა მარშალის ჯგუფის კუნძულებზე. ცნობაში ნათქვამია, რომ იაპონელებმა მტერს გაუწიეს ენერგიული წინააღმდეგობა, რომელიც ბრწყინვალე შედეგით დამთავრდა.

ბრძოლაში მონაწილე ამერიკელთა სამხედრო ძალები შესდგებოდნენ უმთავრესად ავიამზიდებისა და ჯავშნოსნებისაგან. მათ ეხმარებოდნენ თვითმფრინავებიც.

დიდი ბომბარდირებისა და საარტილერიო სროლის შედეგად მტერმა 1 თებერვალს კუნძულ ლაეზე და კვადელინზე გადასხა დესანტი. ენერგიულად მოქმედმა იაპონელთა თავდაცვამ 1 თებერვლამდე გაანადგურა მტრის 42 თვითმფრინავი და ჩამოაგდო 24. ჩაძირულია 2 გამანადგურებელი და ერთი კრეისერი. ერთი გამანადგურებელი დაიწვა. კუნძულებზე ბრძოლა გრძელდება. იაპონელთა ჯარები მტკიცედ ინარჩუნებენ თავიანთ პოზიციებს.

*

ესპანეთი ნეიტრალური რჩება

ხუთშაბათს, 3 თებერვალს, გენერალი ფრანკოს თავმჯდომარეობით შესდგა ესპანეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა. ოფიციალურად გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ მინისტრთა საბჭომ, მოისმინა რა საგარეო საქმეთა მინისტრის იორდანის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, გადასწყვიტა ყოველგვარ პირობებში ესპანეთი მტკიცედ დარჩეს ნეიტრალიტეტის პოზიციებზე.

სასტიკი ბრძოლები იტალიაში

3 თებერვალს, აპრილიის რაიონის ჩრდილოეთით, ნეტუნოს ხიდმისასვლელ სიმაგრეზე დაყრდნობით და მრავალი ტანკის ხელშეწყობით. მტერმა დაიწყო შემოტევა, მაგრამ იგი მოგერიებულ იქნა. 4 თებერვალს აპრილიის რაიონში მტერმა გაიმეორა შემოტევა. ბრძოლაში გამოიყვანეს ტანკები და მათ უკან ქვეითი ჯარი. პირველ ხანებში მოწინააღმდეგის ჯგუფებმა შესძლეს გერმანელთა თავდაცვის ერთერთ რაიონში შეჭრილიყვნენ. გერმანული ნაწილები გადავიდნენ რა კონტრშეტევაზე, უკუაგდეს ინგლის-ამერიკელები თავიანთ გამოსავალ პოზიციებზე. ამასთან წამოყვანილ იქნა 544 ტყვე.

გერმანელმა გრენადერებმა და ტანკისტ-გრენადერებმა 3 თებერვალს ენერგიული შეტევით რამდენიმე ადგილას გაარღვიეს მტრის ხაზი აპრილიაში და შეერთების შემდეგ გარსშემოერტყნენ მტრის წინწამოწეულ დაჯგუფებებს.

მტრის ერთი პოლკი თავისი ტანკებით იმყოფება გარემოცვაში. ეს პოლკი ვიწრო სივრცეზე გერმანელთა ჯარების მიერ იმდენადაა შევიწროვებული, რომ განადგურების წინაშე სდგას, თუ ტყვედ არ დანებდა.

ამჟამად მტრის არტილერიისა და ნაღმსატყორცნთა ცეცხლი შესუსტდა. ხიდმისასვლელი სიმაგრის რაიონის სანაპიროებზე სწარმოებს სამხედრო გემების არტილერიის სროლა.

სამხრეთი იტალიის ფრონტის დასავლეთ უბანში, კასინოს ჩრდილოეთით, მტერი ხელახლა შეეცადა მრავალი ტანკის დახმარებით გაერღვია ფრონტის ხაზი. სასტიკ ბრძოლებში დიდი დანაკარგის ხარჯზე მან შესძლო წინწამოწევა მხოლოდ 500 მეტრით. ფრონტის გარღვევის ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ბრძოლები გრძელდებოდა გვიან ღამემდე. მძიმე და უმძიმესი არტილერიის ცეცხლმაც კი ვერ შესძლო მოეხდინა რაიმე გავლენა გერმანელთა პოზიციებზე.

4 თებერვალს კასინოსთან მტერმა გაიმეორა ცდა გაერღვია ფრონტი. მოწინააღმდეგის ჯგუფები, რომელთაც შესძლეს ქალაქ კასინოს ჩრდილოეთ ნაწილში შემოსვლა, ხელჩართულ ბრძოლებში უკუგდებული არიან, რის შემდეგაც კოლოსალური დანაკარგების გამო მტერმა ფრონტის ამ უბანში შესწყვიტა შემოტევა.

კასინოს ჩრდილო-დასავლეთით, უტევდა რა ჭარბი ძალებით, მტერმა შესძლო ხელმეორედ დაეკავებინა ერთი სიმაღლე, რომელიც გერმანელებმა კონტრშეტევით რამდენიმე დღით ადრე აიღეს.

ვილა სან-ლუჩიას ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანელებმა დაიკავეს ერთი სიმაღლე და უკუაგდეს მტრის ყველა კონტრიერიში. ამრიგად მტრის ცდები კასინოს მთების რაიონში, გაერღვია ფრონტი, გერმანელთა ტანკისტ-გრენადერების გმირული მოქმედებებით გაქარწყლებულია.

ტერელეს აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, 3 თებერვალს მტერი ხელახლა გადმოვიდა შეტევაზე. მთელი დღე გვიან ღამემდე გრძელდებოდა სასტიკი, ხშირად ხელჩართული ბრძოლები. მტრის იერიშებს სცვლიდა გერმანელი გრენადერების კონტრშეტევები.

მტრის იერიშები 4 თებერვალსაც შეუნელებელი ძალით გრძელდებოდა. მტრის ნაწილები ტერელეს რაიონში უტევდნენ მთის გასასვლელებს, რომლებიც 1000 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობენ ზღვის დონიდან. იქ, სადაც ამის საშუალებას იძლეოდა ადგილმდებარეობა, მტერმა, არტილერიისა და ქვეითი ჯარის გარდა, ტანკებიც გამოიყენა. მაგრამ, მიუხედავად ჯარის დიდი რაოდენობისა და აგრეთვე ტექნიკური საშუალებების სიმრავლისა, მტრის ცდა, გაერღვია ფრონტი, აქაც უშედეგოდ **დამთავრდა**. დიდი დანაკარგების შემდეგ **მტერი** იძულებული იყო უკან დაეხია.

აღნიშნული დანაკარგების შედეგად მოწინააღმდეგის შემოტევები **ფრონტის ამ** უბანზე საგრძნობლად შენელდა.



სწრაფმავალი ნავის მიერ გასროლილი ბომბის დეტონაციით გამოწვეული წყლის სვეტი.

მდგომარეობა ფრონტებზე

(კვირეული მიმოხილვა)

აღმოსავლეთის ფრონტის ცალკეულ უბნებზე, რომლებიც „საბჭოთა **საზამთრო** შემოტევის" სიმძიმის ცენტრს წარმოადგენენ, გრძელდება ბრძოლა შეუნელებელი სიმძაფრით. ამ უბნების სახელები არაერთხელ ყოფილა მოხსენებული გერმანიის უმაღლესი სარდლობის ცნობებში. უკანასკნელი კვირის განმავლობაში **ბოლშევიკებმა** კიდევ უფრო გააძლიერეს თავიანთი **დაწოლა**, მაგრამ მტრის თვითეულ შემოტევას, გერმანელები უპასუხებენ გამანადგურებელი კონტრშეტევით. გერმანიის **სარდლობის** მოხდენილი ტაქტიკა — **ელვისებური კონტრიერიშის** განვითარება შეტევაზე **გადმოსული** საბჭოთა მსხვილი ძალების მოსასპობად, აიძულებს ბოლშევიკებს მთელი თვეობით სტკეპნონ ადგილი ერთსადაიმავე რაიონებში, აწარმოონ უშედეგო, **სისხლისაგან** დამცლელი შემოტევანი, **განიცადონ** აურაცხელი ზარალი, როგორც ცოცხალი ძალის, ისე სამხედრო **ტექნიკის მხრივ**.

გერმანიის სარდლობა მტრის დიდი დაწოლისა და რიცხობრივად გადამაჭარბებელი რაოდენობის შემთხვევაშიც კი, ახერხებს თავისი რეზერვების საუკეთესოდ გამოყენებას, აწარმოებს მოფიქრებულ, წარმატებით შემხვედრ კონტრშეტევებს **და** არ აძლევს საშუალებას საბჭოთა **სარდლობას** მიაღწიოს მნიშვნელოვან წარმატებას სტრატეგიული თვალსაზრისით. **საბჭოთა** ჯარები აწარმოებენ ძლიერ დაწოლას **ნიკოპოლის** ხიდმისასვლელ სიმაგრესთან, **დნეპროპეტროვსკის** სამხრეთ-დასავლეთით, **კიროვოგრადსა და ბელაია ცერკოვს** შორის, **ნეველის** ჩრდილოეთით, **პრიპიატსა და ბერეზინას** შუა მდებარე რაიონში. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, **ნიკოპოლის** რაიონში გერმანული დივიზიები განაგრძობენ მძიმე თავდაცვით ბრძოლას, სამხრეთისაკენ მომავალი მტრის ძალების წინააღმდეგ. საბჭოთა ჯარის შემოჭრილი ჯგუფები უკუქცეული და განდევნილი იქნენ კონტრშეტევებით. **კიროვოგრადსა და ბელაია ცერკოვს** შორის, გერმანელებმა რამდენიმე წაიწიეს წინ, დაამსხვრიეს მტრის ჯარის წინააღმდეგობა და აიძულეს იგი უკან დაეხია. ამ უბნის სხვა მონაკვეთზე, გერმანელებმა გაანადგურეს 45 საბჭოთა ტანკი.

პრიპიატის ჭაობების სამხრეთით მდებარე რაიონში, 5 თებერვალს, სწარმოებდა მძაფრი ბრძოლა იერიშზე გადმოსული მტრის ძალების წინააღმდეგ. **ბერეზინის** სამხრეთით და **ვიტებსკის** ახლოს მოგერიებულია და უკუგდებულია ბოლშევიკების ძლიერი დაწოლა, რომლის მიზანს შეადგენდა გაერღვია გერმანელთა ფრონტის ხაზი. ბრძოლაში მონაწილეობდა გერმანიის ავიაცია და არტილერია. თავდაცვითი ბრძოლა ამ რაიონში გრძელდება.

ნეველის ჩრდილოეთით, **სტარაია რუსის** სამხრეთით, **ილმენის ტბისა და ლენინგრად-პსკოვის** რკინიგზის შორის მდებარე რაიონში, კონტრშეტევათა და ძლიერი ხელჩართული ბრძოლების შედეგად,რომელსაც ეხმარებოდნენ მძლავრი სატანკო შენაერთები, უკუგდებული იქნა ბოლშევიკების ყველა შემოტევა. მტერმა აქ დიდი ზარალი განიცადა. ორი საბჭოთა ათასეულის განადგურების დროს განსაკუთრებით გამოირჩეოდა მე-38 პოლკის მე-13 ასეული, რომელსაც ობერლეიტენანტი გეიე მეთაურობს. ილმენის ტბასა და ლენინგრადს შორის წარმოებულ ბრძოლებში თავი გამოიჩინა ვიურტენბერგ-ბადენის მე-215 ქვეითმა დივიზიამ, **რომლის** მეთაურია გენერალ-ლეიტენანტი **ფრანკევიცი**.

პილინიეს დასავლეთით ბოლშევიკების შემოტევები მოგერიებულია. გერმანიის სატანკო დივიზიამ მოსპო საბჭოთა ორი ათასეული. **ილმენის** ტბასა და **ფინეთის უბეს** შორის გერმანიის ჯარი იგერიებს რა მტრის შემოტევებს, წარმატებით ანვითარებს თავის თავდაცვითს ოპერაციებს.

6 თებერვალს, საბჭოთა საავიაციო შენაერთებმა მოახდინეს საჰაერო თავდასხმა ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიზე და ბომბები ჩამოჰყარეს საცხოვრებელ კვარტალებზე.

სამხრეთი იტალიის ფრონტზე, როგორც უკვე ვიცით, 3 თებერვლიდან დაიწყო ძლიერი შემოტევანი. ტანკების დახმარებით ინგლის-ამერიკელებმა იერიში განავითარეს აპრილიის რაიონში. ნეტუნოს ხიდმისავლელ სიმაგრესთან 6 თებერვალს ადგილი ჰქონდა მხოლოდ სადაზვერო ჯგუფების მოქმედებას. **აპრილიის** ჩრდილოეთით მდებარე რაიონის გაწმენდისას, გერმანელებმა გაანადგურეს მტრის ჯარის ერთი პოლკი, რომელიც გაძლიერებული იყო ტანკებით, წამოყვანილია ტყვედ 900 ჯარისკაცი, მათ შორის 19 ოფიცერი, განადგურებულია 11 ტანკი და 21 ჯავშნიანი ავტომანქანა.

ინგლის-ამერიკელები მსხვილი საარტილერიო შენაერთების მხარდაჭერით, განაგრძობდნენ განუწყვეტელ შემოტევებს,რათა გაერღვიათ გერმანელთა ფრონტი **კასინოს** მასივის რაიონში. მტერმა შესძლო შემოჭრილიყო პოზიციების სიღრმეში, მაგრამ იგი ძლიერი კონტრდარტყმის შედეგად იძულებული გახდა უკუქცეულიყო. გერმანიის ბომბდამშენებმა რამდენჯერმე მიიტანეს იერიში **ნეტუნოს** ნავსადგურზე, სადაც სწარმოებდა მტრის გემების გადმოტვირთვა. ბომბარდირების შედეგად გაჩნდა დიდი ხანძრები, აფეთქდნენ სამხედრო მასალათა საწყობები. 6 თებერვალს, მტრის პოზიციების ძირითადი დასაყრდენი პუნქტების ბომბარდირებისას **ანციოს** რაიონში ძლიერად დაზიანებული მტრის ერთი გამანადგურებელი და ორი სატრანსპორტო გემი. 7 თებერვალს დასავლეთის დაკავებულ ოლქებზე საჰაერო თავდასხმებისას ჩამოგდებულია მტრის 12 ბომბდამშენი.

მიმომხილველი.

ეროვნული ერთობის საფუძვლები

შფოთი, შეთქმულება და აჯანყებანი *

წმ. ნინოს წყალვარდნილი.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა სახლის (პარლამენტის) საგარეო საქმეთა კომიტეტის სხდომაზე, 1926 წლის 1 აპრილს, ჯონ ა. სტიუარტმა, როდესაც იქ საქართველოს საკითხი ირჩეოდა, განაცხადა: „მათი (ქართველთა) რიცხვი დღეს უდრის დაახლოებით სამ მილიონს, რომელიც თითქმის ადგილობრივი ქართული მოსახლეობაა. აბა წარმოიდგინეთ! ერთმა ცნობილმა (ამერიკელმა) სტატისტიკოსმა... გამოიანგარიშა, რომ ორი ათასი წლის განმავლობაში ქართველებმა დაჰკარგეს ბრძოლაში თავისი სამშობლოს თავდაცვისათვის ოცდაათიდან ორმოც მილიონ კაცამდე; ისინი მაინც დღესაც იქ არიან, სადაც მაღალმა ღმერთმა დაასახლაო“.

ამერიკელებს ციფრები უყვართ და სტატისტიკას დიდ პატივს სცემენ... ჩვენ არ ვიცით, საქართველომ მართლა ორმოცი მილიონი მამაკაცი დაჰკარგა თავისი თავისუფლებისათვის ბრძოლაში, თუ არა, მაგრამ ჩვენი სამშობლო, მარად მსხვერპლს რომ იღებდა და შეუწყვეტლივ, გამუდმებით მისი შვილები თავს სწირავდნენ ბრძოლას მტრის წინააღმდეგ—ეს მოლაღადე ისტორიული სინამდვილეა! ამ მუდმივი ომებითა და ბრძოლებით აიხსნება წარმოშობა ქართული მისალმებისა, რომელიც ევროპაში მხოლოდ ქართველებს აქვთ: — „გამარჯობა, გაგიმარჯოს“, „დილა მშვიდობისა, საღამო მშვიდობისა“. ომი ისე ხშირი და ისე შემაწუხებელი იყო („არლა იპოვებოდა არც ნაშენები, არცა საჭმელი კაცთა, პირუტყვთა ყოვლადვე“), რომ ქართველი ქართველს გამარჯვებას, საღამოსა და დილის სიმშვიდეს უსურვებდა, რამდენად უნდა მოწყურებული ყოფილიყო ქართველი მშვიდობითა და ზავით?!

ამ მუდმივი შიშიანობითა და ბრძოლებით აიხსნება აგრეთვე იმ მრავალი გამოქვაბულის არსებობა, რომელიც ჩვენს კლდეებში და მთებში მოიპოვება. ქართველი იძულებული იყო კლდეში გამოეჭრა თავდასაცავი გამოქვაბული, მაგრამ ესეც არ შველოდა, რადგან, მაგალითად, თემურლენგის მეომრები ბაწრით ჩადიოდნენ გამოქვაბულის გასწვრივ, ან ანთებულ მასალას ისრით სტყორცნიდნენ გამოქვაბულში.

ამ ბრძოლას ჩვენ იმაზე უკეთესად ვერ დავახასიათებთ, როგორც ეს ილია ჭავჭავაძემ დასწერა, ამიტომ მოვიყვანთ მის სიტყვას:

„რა არ გადაგვხედია თავს, რა მტრები მოგვსევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლი, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ, და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგთემურებმა ჩვენს საკუთარ სისხლში გვაბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს წვრილ-შვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. აღა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვაქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვასრნეს, მოგვჟლიტეს და მაინც ფეხზე წამოვდექით, მოვშენდით, წელში გავსწორდით, გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალო-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა და ურჯულოს, დროშა ქართველობისა შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავაღებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინეთ“...

საქართველოს თავის დასაცავად ბრძოლა რომ არ ეწარმოებინა, მოელოდა დაღუპვა და გადაგვარება — ეს მოვლენა რომ დავასურათოთ, ამისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება!

ჩვენი მეზობლების, ალბანელების თავგადასავალი გავიხსენოთ. ალბანელებს ეჭირათ ეხლანდელი აზერბაიჯანი და უფრო მეტი არეც. ეს ხალხი გაჰქრა, შთაინთქა ისტორიის ამბებში. ალბანელებს არ აღმოაჩნდათ ბრძოლაში გამძლეობის ხასიათი, თავდაცვითი ბრძოლის, თავისი საკუთარი მეობისა და სულიერი სახის შენარჩუნების უნარი, ვერ განიმტკიცეს მათ ურყევი, შეუდრეკელი ნებისყოფა. აკადემიკოსი ი. ორბელის აზრით, ეს ამბავი მოხდა ასე: ალბანეთმა დაჰკარგა მეთორმეტე საუკუნის ბოლოსათვის არამცთუ თავისი სახელი, არამედ თავისი მიწა-წყალიც, რომელიც ხელთ იგდო ჯერ კიდევ წინა საუკუნეებში სამხრეთიდან სომხეთმა და დასავლეთიდან — საქართველომ. ალბანელ ტომთა შორის მუდმივმა დავამ და ერთიანობის უქონლობამ და იმ მოვლენამ, რომ ალბანური ფეოდალური წრეები იოლად ითვისებდნენ მეზობელ სახელმწიფოთა და ხალხთა ჩვეულებას, გარეგნობასა და ზნეს, დააჩქარა მათი გადაშენება, დაღუპვაო. აკადემიკოსი ნ. მარი ამის თაობაზე შემდეგს ამბობს: „კავკასიის ალბანია, ალბანური ანუ არანული კოლექტივი, არაბულ ენაზე იგივე ალანები (კავკასიელი ალანები)... ერთ დროს, ქრისტიანობის ხანაში, ქართველებთან და სომხებთან ერთად, წარმოადგენდნენ მოწინავე მებრძოლთა სამეულს ქრისტიანულ საფუძვლებზე დამყარებულ კულტურისათვის, კავკასიის ახალი კულტურისათვის. ასე, ჩვენს წელთაღრიცხვის მეხუთე და მეექვსე საუკუნეში, თანდათან ალბანური კოლექტივის მზე ამიერკავკასიაში გადაიხარა; მეთერთმეტე საუკუნიდან ალბანეთის ერთ ნაწილს სომხებმა მოუხდინეს ასიმილაცია, ნაწილს ქართველებმა. ალბანური კოლექტივი, რომელმაც თავისთავში ვერ გამოიმუშავა საფუძვლები ახალი კულტურის დამოუკიდებლად შეთვისებისათვის, დაიბნა და გალხვა სომხურ და ქართულ ეროვნულ კოლექტივებში“.

მაშასადამე, ალბანეთმა ვერ შეჰქმნა თავისი კულტურის ფუძენი, ვერ განამტკიცა ეროვნული ქრისტიანობა; მისმა ფეოდალურმა წრეებმა ვერ დაიცვეს საკუთარი ეროვნული მეობა და სახე. ალბანეთმა ვერ გამოიმუშავა ეროვნული საფუძვლები; არ ეყო მას ბრძოლის უნარი და გაჰქრა ისტორიიდან საბოლოოდ მას შემდეგ, რაც ეს მხარე სპარსულ-თათრულმა მოსახლეობამ დაიკავა და საერთო მუსულმანურ ზღვაში გაითქვიფა. ალბანეთის მაგივრად იშვა ჯერ შირვანი, შაქი, შემდეგ სხვადასხვა სახანო, და ბოლოს ადარბაგანი ანუ დღევანდელი აზერბაიჯანი.

ასეთივე ბედი ეწია ქართული სახელმწიფოს კულტურის აკვანს — მესხეთს, რომელიც გადაგვარდა და „გათათრდა“; დღეს მისი მიწა-წყალი, მას შემდეგ, რაც მესხები რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად 1828, 1856 და 1878 წლებში აიყარნენ, სომხებმა დაისაკუთრეს, რომელნიც რუსებმა ჩამოასახლეს. ამის მოწამეა ახალქალაქი და ახალციხე!

რამ გადაარჩინა ქართველი ერი? ამ საკითხს ჩვენი წინაპრებიც სვამდნენ და ილია ჭავჭავაძე მას ასე უპასუხებდა:

„რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესათვის, როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლ-მთხეველნი მამულისათვის, რამლა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი. ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით. ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა! დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა; დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა“.

ჩვენ აქ მეტად საინტერესოდ მიგვაჩნია, თუ პირდაპირ ამავე საკითხზე არა, ირიბულად, აქ აღძრულ საკითხზე ქართველი ხალხის ისტორიის დამწერის, ინგლისელი ალენის შეხედულებაც. თავის ისტორიაში, როდესაც ალენი ახასიათებს ქართველ ერს, მას ნათქვამი აქვს შემდეგი:

„ქართველების, არა მხოლოდ როგორც ხალხის, არამედ როგორც ინდივიდუალური კულტურული და პოლიტიკური მთლიანობის გადარჩენა იმ საუკუნეთა განმავლობაში, როდესაც ისინი აღმოსავლეთი და დასავლეთიდან იმპერიალისტური თავდასხმებისა და ხაზარების, თურქებისა და მონღოლების ხანგამოშვებითი ლაშქრობის მსხვერპლი იყვნენ — შესამჩნევ მოვლენას წარმოადგენს.

ქართველი ხალხის ხასიათში არის ერთი უცნაური ელემენტი — ერთგვარი უპასუხისმგებლო ინდივიდუალობა ერისა, როგორც ერთიანის, რომელიც შეედრება ამის მსგავს ინდივიდუალობას ესპანელთა და ირლანდიელთა ხასიათში.

ეს დახასიათება ქართველი ხალხისა შეიძლება აიწეროს, როგორც ესთეტიკური უპასუხისმგებლობა.

ქართველები, როგორც ესპანელები და ირლანდიელები, ხშირად ყოფილან სხვადასხვა სახის პოლიტიკურ და კულტურულ ბატონობაში. ისინი ამ ბატონობას ემორჩილებიან, მაგრამ მას არასოდეს სერიოზულად არ უყურებენ; და როდესაც ამ ბატონობას ბოლო ელება, ეს ხალხი, რომელმაც განიცადა იგი, თავის ხასიათში სწორეთ ისეთივე რჩება, როგორიც უწინ იყო. რომ ვსთქვათ, ისინი ამ ბატონობას არ ებრძვიან, მართალი არ იქნება; ისინი ხშირად და დაუზოგავადაც ებრძვიან მას, მაგრამ იბრძვიან როგორც ერი, როგორც ყოველი ცოცხალი ცხოველი იბრძვის, — და არა პრინციპის გულისათვის. ასე, ჩვენ ვხედავთ მთელი ქართული ისტორიის განმავლობაში, როგორც ესპანელთა და ირლანდიელთა ისტორიაშიც, რომ ისინი, ქართველები თვითონ ერს ეთაყვანებიან და არა ამათუიმ პრინციპს. და თუ ვინმე მათგანი იბრძოდა ცხადად გამოთქმული რელიგიური მიზნისათვის, ჩვენ ყოველთვის ვამჩნევთ, რომ მისთვის რელიგიური იდეის დაცვა იმავე დროს სამშობლოს დაცვას წარმოადგენდა.

ქართველები რელიგიური ხალხი არაა, არც პოლიტიკური ხალხია, მაგრამ მათ აქვთ მეტად მყარი და ღრმა გრძნობა თავისი მთლიანობის, როგორც ერისა, და თავისი ინდივიდუალობის, როგორც ერისა. ეს ეროვნული ინდივიდუალობის გრძნობა არის მეტად ძველი, უფრო ძველი, ვიდრე ზოგიერთი, შედარებით ახალგაზრდა ერისა, რომელიც დღეს თავის ეროვნობის გრძნობაზე ლაღადებს. ქართველებს, თავისი თავის, როგორც ერის შეგნება მოაქვთ უეჭველად საშუალო საუკუნეთა ქართული სამეფოს დროიდან და ეს გამოიხატება რუსთაველისა და სხვა, საშუალო საუკუნეთა მგოსნების მიერაც.

თავისი თავის, როგორც ერის შეგნება არის თვითონ ერთგვარი ესთეტიზმი — ერთნაირი სახე ვნებითი მიდრეკილებისა — მოწონება თავისისა სხვასთან შედარებით.

მეორე მხრივ, არავის, — და არც ერთ ხალხს — არსებითი ესთეტიზმის, მაღალი გემოვნების ხალხს, არ შეუძლია მისცეს მტკიცე უპირატესობა რომელიმე რელიგიურ ან პოლიტიკურ ცნებას. წამება (მარტვილობა) არის არსებითად ესთეტიზმის დარღვევა, მაშინ როდესაც გმირობა, მეორე მხრივ, არის ინდივიდუალური ხელოვნების ძლიერი აღტყინება. ჩვენ ვხედავთ, რომ ქართველები ხშირად, მართლაც ყოველთვის, არიან გმირები, და არასოდეს, ან ძალიან იშვიათად, წამებულნი.

ქართველების ამ „ესთეტიკურ უპასუხისმგებლობაში“ იმალება საიდუმლოება მათი მიმზიდველობისა, როგორც ხალხის, და მათი გადარჩენისა, როგორც მტკიცე ინდივიდუალური ეროვნული მთლიანობისა. ქართველებს შერჩათ შესამჩნევ დონემდე, როგორც პიროვნებას, ისე ხალხს, ნათელი და სათნო მსოფლმხედველობა, თავისუფალი და ცნობისმოყვარე გონება, მაღალი და შეუბოჭველი შეგნება პრიმიტიული ადამიანისა. გულუხვობა, საყვარელი სისადავე და სათნოება, ცხოველური სიყვარული სიცოცხლისადმი, რომელიც ახასიათებს ჰომეროსის პოემებს და კელტურ და სკანდინავიურ ძველ ლიტერატურას, ბრწყინავს საშუალო საუკუნეთა ქართული მწერლობის ფურცლებზე და მაშინდელ. ქართულ ხასიათს მართლაც გამოსახავს.

სწორეთ ამ „ესთეტიკურმა უპასუხისმგებლობამ“ დაიცვა ქართველების მთლიანობა, მათი ისტორიის ცვალებადობის დროს. მრავალი პოლიტიკური სისტემა და მრავალი რწმენა მძიმედ დააწვა ამ ქვეყანას. ისინი წავიდნენ და ქართველები დარჩნენ მომცინარე, უცვლელი და უდარდელი.

ქვეყნის გეოგრაფიული სიშორე იყო ერთი საფუძვლიანი მიზეზი მათი მტკიცე ნათესაური გრძნობისა — ქართველების ეროვნული ინდივიდუალობისა. ამ სიშორემ ერთსადაიმავე დროს ისინი განამარტოვა და აგრეთვე აიძულა თავიანთ შორის განევითარებინათ ხანგრძლივი, დაზმული და დამოუკიდებელი გრძნობა ერთობისა.

ამავე დროს ჰავა და ბუნება არის ნაზი და საამო, ღვინო კარგი; ასე რომ არც ჰაერი და არც სასმელ-საჭმელი არ იწვევს ჭმუნვას პრინციპებზე და წუხილს წვრილმანებზე.

მეორე მხრივ, უბედური სომხები, რომელთაც თავის ყინულიან მთებში წარმოშვეს მაგარი დოგმა, მატერიალისტებად გადაქცეულნი სასტიკ ეკონომიურ საჭიროებათა გამო, როგორც ერი, ერთ დროს ძალიან მიუახლოვდნენ ფიზიკურ ამოჟლეტას, ჩვეულებრივად რომ წამებულს მოელის და კულტურულ მოსპობას, ინდივიდუალურ მატერიალისტებისაგან შემდგარ საზოგადოებას წილად რომ ხვდება ხოლმე, რადგან საშუალო საუკუნეთა პირველ ხანებში სომხები დაჟინებით ებრძოდნენ მაჰმადიან თავდამსხმელებს, როგორც ქრისტიანული სარწმუნოების მტრებს და აგრეთვე ჩაებნენ იმ დაუსრულებელ საღვთისმეტყველო დავაში, აღმოსავლეთის საქრისტიანო მსოფლიოს რომ აბორგებდა. მაგრამ ინდივიდუალური მატერიალიზმი, ჩანერგილი ყოველ უნაყოფო და მწირი ქვეყნის ადამიანში, მუდამ მიაქანებს თვითეულ თანამომდევნო თაობის საუკეთესო ვაჟკაცურ სულს მდიდარ ბატონთა — ბიზანტიელ, არაბ, მონღოლ და თურქთა — სამსახურისაკენ.

ჩვენ შეგვიძლია გადავხედოთ ამ ხალხთა ისტორიის მეტად ვრცელ და საერთო ნიადაგს. — ქართველები თავის ფართო და ნაზ ქვეყანაში, თავის მგოსან-მომღერლებითა და მსუბუქი ფილოსოფიით, თავისი ასპარეზობით, თავისი ნადიმებით, თავისი გმირებითა და თამაშობით; სომხები კი, მწარე და ტანჯული, მაგრამ შესაბრალი ხალხი, თავისი დოგმებით და რიტუალებით, თავის ბერ-მემატიანეებით, თავისი მკაცრი მეომრებით, თავისი ვაჭრებით და თავისი წამებულებით.

(დასასრული იხ. მე-6 გვ.)

---

[*] დასასრული. იხ. გაზ. „საქართველო“ N 5 (82).

ფიქრები ლეგიონზე

1. მაჰმადიანი ქართველები

ქართველი ერი ერთი მთლიანი, განუყრელი ორგანიზმია, ჩამოქნილი და შედუღაბებული ათასეული წლების მანძილზე. ცხადია, ჩვენი პრეისტორიის გარიჟრაჟზე ცალკეული ქართველი ტომები ჯერ არ შეადგენდნენ ერთ მთლიან სხეულს, ისინი თუმცა ენათესავებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ეს მათიც საკმარისი არ იყო მათი გაერთიანებისათვის. თვით ასეთ დაქსაქსულ პირობებშიც კი, სხვადასხვა ქართველი ტომები მაინც გრძნობდნენ ურთიერთნათესაობას, სალაპარაკო დიალექტების, ხასიათის, ჩაცმულობისა და ზნე-ჩვეულებათა მსგავსებას. სწორედ ეს ფაქტორები წარმოადგენდნენ მომავალი ეროვნული გაერთიანების ჩანასახს. მაგრამ აღნიშნული პირობები ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეასრულებდნენ შემაკავშირებელ როლს; საჭირო იყო უფრო ძლიერი ფაქტორები, უფრო მეტი დაახლოება და ურთიერთგაცნობა.

ასეთ ფაქტორებს, პირველ რიგში, წარმოადგენდნენ სარწმუნოება და ენა. როგორც ცნობილია, ქართველი ტომების უძველეს სარწმუნოებად წარმართობა ითვლებოდა. ეს იყო უწიგნური რელიგია, მაგრამ ჩვენი ხალხის შედუღებისათვის მან მაინც განსაკუთრებული როლი შეასრულა, დაახლოებით ამავე პერიოდს განეკუთვნება ქართული ენის გამარჯვება სხვა მონათესავე ენებზე, ამ ენის ხმარება ყველა ტომთა მიერ და ამავე ენაზე ზეპირსიტყვაობის ნიმუშების შექმნა. დღემდე მოღწეული უძველესი ქართული ფოლკლორის შესანიშნავი ნიმუშები მითოლოგიის სამეფოდან, წარმართული ჰიმნები და სხვა მრავალი ზეპირსიტყვიერებითი ნაწარმოები, ნათლად მოწმობს, რომ წარმართობის პერიოდში ყველა ქართველი ტომისათვის ქართული ენა გასაგები იყო და რომ ამ ენაზე უკვე არსებობდა პოეტური შემოქმედების მარგალიტები.

მაგრამ ქართველი ერის დღევანდელი სახით ჩამოყალიბებისათვის მაინც გადამწყვეტი როლი შეასრულა ქრისტიანობამ. მან საბოლოოდ ჩამონაკვთა ჩვენი ხალხის მთლიანობა და დღემდის შეუნარჩუნა ეს სახე. როგორც მწიგნობრულმა რელიგიამ, ქრისტიანობამ მტკიცედ დანერგა ქართველ ტომთა შორის კულტურა და ჩააყენა მოწინავე ერთა რიგებში. ქართველი თავისი არსებით მუდამ მორწმუნე იყო და ეს მისი რწმენა შესანიშნავად გამოიხატა ჩვენს უმდიდრეს ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში, ჩვენს განმაცვიფრებელ ხუროთმოძღვრებასა და კედლის მხატვრობაში.

ჩვენი ტრაგიკული ისტორიის მანძილზე ქართველ ერს ზღვა სისხლი დაუღვრია თავისი მეობის შესანარჩუნებლად, სარწმუნოებისა და ენის შესანახად. ამ თავგამოდებულ ბრძოლებში, ჩვენი ხალხის ერთი ნაწილი ძალით მოჰგლიჯეს საკუთარ სხეულს, გადააგვარეს, მიაღებინეს მაჰმადიანური სარწმუნოება. მიუხედავად ამისა, ისინი დღემდე ნამდვილ ქართველებს წარმოადგენენ. აჭარლები, მესხები, ჯავახები, ჭანები, შავშები და ერუშები, ფერეიდნელი ქართველები და ინგილოები — ესენი არიან ჩვენი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, ჩვენი მთლიანი ქართული ოჯახის ღირსეული და საპატიო წევრები. მიუხედავად იმისა, რომ მათ დიდი ხანია დაჰკარგეს მშობლიური ქრისტიანული სარწმუნოება და მაჰმადიანობას აღიარებენ, ეს მაინც სრულიად არ უშლით ხელს ჩვენს საერთო ფერხულში იყვნენ ჩაბმული. მართალია, ჩვენთან ურთიერთობაში მათ თითქოს ხელს უშლით დანარჩენ ქართველ ტომთა სარწმუნოებრივი სხვაობა, მაგრამ ჩვენი მიზანი, ჩვენი მისწრაფებანი და ზრახვანი, ჩვენი საერთო სამშობლოს სიყვარული, ენა, კულტურა, ტრადიციები, ზნე-ჩვეულებანი და ეროვნული ხასიათი დღეს უფრო მძლავრი ფაქტორი შეიძლება გამოდგეს, ვიდრე სარწმუნოებრივი აღიარება.

მაჰმადიანი ქართველები ყოველთვის ჩვენი ერის საამაყო ნაწილს წარმოადგენდნენ. არაერთი და ორი მხურვალე პატრიოტი მოუცია აჭარის მთებს, არაერთი ვაჟკაცი ჭანი აცრემლებულა თურქეთიდან საქართველოში მოსვლის დროს და ბედი უწყევლია, რომ სამშობლოში ვერ სცხოვრობს; ან როგორ გმირულად იცავდნენ ქართულ უმშვენიერეს ნავსადგურ ბათომს, აჭარელი ვაჟკაცები ჯერ კიდევ გუშინ? და განა მეტწილად აჭარლებისაგან არ იყო შემდგარი პირველი ქართული ლეგიონი გერმანიის მხედრობასთან?

მაგრამ, რაც მთავარია, დღეს ჩვენს რიგებში, ქართულ ლეგიონურ მოძრაობაში, მრავალი მაჰმადიანი ქართველია ჩაბმული, უმთავრესად აჭარლები, მესხები, ჯავახები... ამ ახალგაზრდობამ უკვე საბოლოოდ შეიგნო თავისი ქართველობა, მასში კვლავ ძალუმად აჩქეფდა ცისფერი ქართული სისხლი და მათ ისევე ესმით სამშობლოს ძახილი, როგორც ქართველი ტომის ყველა სხვა წარმომადგენელს.

ჩვენ ერთნაირ პატივს ვცემთ დღეს ყველა ქართველის სარწმუნოებრივ მიმართულებას, ვტოვებთ რა თვითეულის საკუთარ საქმედ — რა რელიგიურ მსოფლმხედველობას აღიარებს იგი. დღეს ჩვენთვის, როგორც კულტურული ერისათვის, მთავარი და გადამწყვეტია არა სარწმუნოებრივი ფანატიზმი, არამედ ენა, კულტურა, ხასიათი, ზნე-ჩვეულებანი, ისტორიული ტრადიციები და ის ურაგანული, მებრძოლი პატრიოტიზმი, რომელიც ერთნაირად ამოძრავებს როგორც აჭარელს, ისე კახელს, ჯავახს, მესხს, მეგრელს, ინგილოს, ჭანს, სვანს, იმერელს, გურულს, ხევსურს და ქართველი ერის ყველა შემადგენელ ელემენტს.

ლეგ. პაატა ვარძიელი.

აბრუცის მთებში, მიუხედავად დიდი თოვლისა, გერმანელთა პოზიციებისაკენ მიიმართება სურსათ-სანოვაგით დატვირთული კოლონა.

ს ა უ ბ ა რ ი

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტებთან

ჩვენი გაზეთის მკითხველთა რიცხვი ყოველდღიურად. იზრდება. დღეს სავსებით გასაგებია მისი, როგორც ერთადერთი მებრძოლი ქართული გაზეთის როლი ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. გაზეთის ფურცლებზე უმთავრესად თანამშრომლობენ ისევ მისი მკითხველები. რედაქცია ყოველდღიურად ღებულობს კორესპონდენციებს, ლექსებს, მოთხრობებს, თარგმანებს და სხვ. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ მიღებულ მასალათა შორის ბევრი გამოუსადეგარია დასაბეჭდად.

ჩვენი გაზეთი, როგორც სამხედრო ორგანო, ცხადია ძირითად ყურადღებას უთმობს სამხედრო მასალებს. ამიტომ გასაგებია, რომ აღნიშნულ თემაზე გამოგზავნილი თითქმის ყველა კორესპონდენცია ადგილს პოულობს მის ფურცლებზე. მაგრამ საქმე ის არის, რომ რედაქციაში შემოსული წერილების საგრძნობი ნაწილი, პირდაპირ არ ეხება ჩვენი გაზეთის ძირითად საკითხს.

როგორ უნდა იწერებოდეს სამხედრო კორესპონდენცია? ამ საკითხზე პასუხი რომ გავცეთ, საჭიროა ვიცოდეთ, რა და რა ხასიათისა შეიძლება იყოს იგი.

სამხედრო კორესპონდენცია უნდა ეხებოდეს შემდეგ საკითხებს: 1. ნაწილის შინაური ცხოვრება; ნაწილის საქმიანობა და ნაწილის მეცადინეობა. ამაში შედის მრავალი, მეტად საინტერესო საკითხი, როგორიცაა: კულტურული გართობა და დასვენება, პირადი ყოფა-ცხოვრება, თავისუფალი საათების გამოყენება, სპორტი, სათამაშოები, საექსკურსიოთ გამგზავრება, კოლექტიური დასწრება ამათუიმ სანახაობებზე და სხვ.; მეცადინეობის მიმდინარეობა, სამწყობრო, სასროლო, თეორიული საათები ნაწილში. ტაქტიკური მეცადინეობანი. ნაწილის საუკეთესო მსროლელნი, წარჩინებულნი ტაქტიკურ მეცადინეობაში, თვითინიციატივის გამომჩენნი და სხვ. 2. ნაწილის საბრძოლო მოქმედება: უკეთუ მას უხდება უშუალოდ ფრონტზე ყოფნა ან ზურგში საბრძოლო ამოცანის შესრულება კორესპონდენცია უნდა მოგვითხრობდეს ყველა იმ საბრძოლო წარმატებების შესახებ, რასაც აღნიშნულმა ნაწილმა ან მისმა ცალკე დანაყოფებმა მიაღწიეს. კორესპონდენცია შეიძლება შეიცავდეს ცალკე ბრძოლის საინტერესო ეპიზოდებს, შეიძლება აგებულ იქნას იმგვარადაც, რომ მასში მხოლოდ საბრძოლო მოქმედების ერთი, ყველაზე საინტერესო მომენტი გაშუქდეს.

საგაზეთო წერილის წერის დროს, კორესპონდენტმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ მის წერილში მოცემული იყოს მხოლოდ კონკრეტული ფაქტები, რომ კორესპონდენცია მართალი და მიუდგომელი გამოვიდეს. საჭიროა ვერიდოთ ზოგადობას, საერთო მსჯელობას და იმ არასასურველ, არაფრისმთქმელ ფრაზეოლოგიას, რაც, სამწუხაროდ, რედაქციაში შემოსულ ზოგიერთ კორესპონდენციას ახასიათებს.

ბევრი ჩვენი მკითხველი, რომელსაც სურვილი აქვს რედაქციას გამოუგზავნოს სამხედრო კორესპონდენცია, ვერ ბედავს ამას იმ მოტივით, თითქოს საგაზეთოდ წერა არ ეხერხებოდეს. ჩვენ გვინდა დავარწმუნოთ ყველა, რომ უბედურება მდგომარეობს არა იმაში, თუ როგორი ენით იქნება კორესპონდენცია დაწერილი, არამედ იმაში, რომ კარგი ენით და გამართულად შედგენილი წერილი მეტწილად არავითარ კონკრეტულ ფაქტებს არ შეიცავს, რის გამოყენებაც რედაქციას, სამწუხაროდ, არ შეუძლია. ისეთი საგაზეთო მასალა, რომელიც დაწერილია არა ზოგადად, არამედ შეიცავს საინტერესო, კონკრეტულ ფაქტებს, რედაქციაში სათანადო გადამუშავების შემდეგ აუცილებლად მოთავსდება გაზეთის ფურცლებზე.

ორიოდე სიტყვა გვინდა ვთქვათ ლექსების შესახებაც. ჩვენ ყოველდღიურად ვღებულობთ ლეგიონერთა ლექსებს, ეს კარგია, მაგრამ მათი დიდი ნაწილი სრულიად მოკლებულია მხატვრულ ღირებულებას, გარდა ამისა, თვით თემებიც კი, რომელსაც მათი ავტორები ირჩევენ, არ შეეფერება ჩვენს გაზეთს და, საერთოდ, ჩვენს მიზანს. ამიტომ, ვურჩევთ ამ ლექსების ავტორებს, რათა მათ მეტი იმუშაონ თავისთავზე, შეარჩიონ სადღეისო თემები, არ მოერიდონ ამხანაგთა დახმარებას, რომელთაც პოეზიის საკითხები ესმით და ამის შემდეგ მოგვაწოდონ ჩვენ. ყველა, სულ მცირე მხატვრული ღირებულების მქონე ლექსიც კი, რომელიც ლეგიონერის სულისკვეთებას გამოხატავს, თავის ადგილს იპოვის გაზეთის ფურცლებზე.

ბოსე დარწმუნებულია

დელის გასანთავისუფლებლად მოწყობილი ლაშქრობის აღსანიშნავად, „თავისუფალი ინდოეთის“ დროებითი მთავრობის ხელმძღვანელმა სუბჰას ჰანდარა ბოსემ მოწოდებით მიჰმართა თავის ხალხს: „პირველყოვლისა, — ნათქვამია მოწოდებაში, ჩვენ უნდა გავამართლოთ ჩვენს მიერ სადღესასწაულოდ დადებული ფიცი, სამშობლოს განთავისუფლებისათვის. ღრმად დარწმუნებული ვართ ჩვენს მოკავშირეებში და ჩვენს საბოლოო გამარჯვებაში. ჩვენ გადავლახავთ ყველა დაბრკოლებას და მოვესწრებით იმ დღეს, როცა ინდოეთის თავისუფლების დროშა ინდოეთის მეფის სასახლეზე და დელის სიმაგრეზე იფრიალებს.

მორიგი თვალთმაქცობა

ბ. ვარდანი.

მთელი მსოფლიოს ბეჭდვითი სიტყვა ახმაურდა და ასტეხა ყიჟინა მოსკოვში გამოცხადებული კონსტიტუციის ახალი ცვლილების გამო. რა მოხდა? რა არის აქ ახალი და არაჩვეულებრივი?

განა არ იცნობენ ბოლშევიკურ ბუნებასა და მოსკოვის მასულდგმულებელ ოინებისა და ხრიკების პოლიტიკას?

განა არ იციან, რომ ბოლშევიკები მარად სტყუიან, ატყუებენ თავის ხალხს და თვალებში მტვერს აყრიან, აბრმავებენ უცხოეთს?

განა არ ესმით, რომ ბოლშევიკური მოძღვრების ჩასახვის დღიდანვე ეს ტყუილი სავალდებულოა, სიცრუე და ორპირობა აუცილებელი დანართია მოსკოვის ბატონისა და მის დამქაშთა საქმიანობისათვის?

განა არ გაუგონიათ, ბოლშევიკურმა მთავრობამ რომ გამოაცხადა ერთა თვითგამორკვევისა და თავისუფლების იდეა?

განა არ შეუტყვიათ, ბოლშევიკები რომ დაჰპირდნენ ხალხს ბედნიერი სამოთხის დამყარებას?

რამდენი ბოლშევიკური შეპირება და ტყუილი, რამდენი აღთქმა და სიცრუე გავიხსენოთ, რამდენი დაპირება და სიყალბე დავასახელოთ? მთელი ბოლშევიკური პოლიტიკა იყო და არის სიყალბე, სიცრუე და ვერაგობა-მზაკვრობაზე აგებული!

განა არ იციან? — იციან! ყველამ იცის, ბოლშევიკებმა ერებს თვითგამორკვევისა და თავისუფლების მაგივრად განუმზადეს დაპყრობა და გააყოფინეს თავი მოსკოვის ბატონობის უღელში!

განა არ იციან? — იციან! სამოთხის მაგივრად ბოლშევიკებმა დაამყარეს მონობა და სიღატაკე!

იციან, დღემდე წამებული და ტანჯული ეკლესიის აღდგენა რომ მხოლოდ ჯამბაზობაა! იციან! კომინტერნის მოსპობაც თვალთმაქცობაა და გაიძვერული ეშმაკობა. და დღეს განა არ იციან, მოსკოვში გამოცხადებული საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ცვლილება რომ მხოლოდ თვალთმაქცობაა და ოინბაზობა? იციან, მაგრამ...

მოსკოვმა გამოაცხადა საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებს თავისი საკუთარი საგარეო სამინისტრო ექნებათ და უფლებაც — თავიანთი წარმომადგენლები უცხოეთის სახელმწიფოთა მთავრობებთან წარგზავნონ და ხელშეკრულებებიც დასდონო. გარდა ამისა, თვითეულ რესპუბლიკას ექნება საკუთარი სამხედრო სამინისტრო და ჯარიც ეყოლება. ეს უკანასკნელი საშუალებაა კავშირის ხალხებისაგან უკანასკნელი ძალები გამოსწოვონ და ბრძოლის ველზე გაჟლიტონ!

ვინ არ იცის, რომ ამავე კონსტიტუციის ძალით თვითეულ რესპუბლიკას უფლება აქვს საბჭოთა კავშირიდან გავიდეს. მაგრამ, აბა გაბედოს რომელიმემ და კრინტი დასძრას კი არა, მხოლოდ იფიქროს ამ საკითხზე? უფლება თავისთავად არაფერია, თუ მისი განხორციელების საშუალება არ არსებობს და სწორედ ამ საშუალებასაა მოკლებული საბჭოთა კავშირში როგორც ერი, აგრეთვე მოქალაქე. ამისთვის არსებობენ და ამაზე ზრუნავენ შინსახკომი და მისი მრისხანე აგენტები. დღესაც რა მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, უკრაინას ან საქართველოს, ეყოლება თუ არა წარმომადგენელი მაგალითად, საფრანგეთში, როცა ამ წარმომადგენელმა მოსკოვის ბრძანება უსიტყვოდ, აზრის შეუბრუნებლად უნდა აღასრულოს და შინსახკომის ქსელში გახვეული, მოკრძალებითა და შიშით უნდა შესცქეროდეს ყოველ მის აგენტს? რა ხელშეკრულება შეუძლია საქართველოს საფრანგეთთან მოსკოვის ნებადაურთველად? არ გაუჭეჭყენ თავს ისეთ წარმომადგენელს, ვინც რამეს გაბედავს?

საბჭოთა კავშირის სასტიკად ცენტრალისტურ წესწყობილებაში, სადაც უზარმაზარ სივრცეზე მოსკოვის სურვილისამებრ მხოლოდ ჩეკისტის რევოლვერს აქვს ლაპარაკის უფლება, შეუძლებელია რესპუბლიკებისა თუ ერების რაიმე სახელმწიფოებრივ უფლებებზე მსჯელობაც კი. ამიტომაა, კონსტიტუციის ეს ახალი სახე მხოლოდ გველის პერანგის ცვლაა, რაც საბჭოთა კავშირის ხალხებს ვერ მოატყუებს, ვინაიდან ისინი ამ საზიზღარ გველს კარგად იცნობენ. ამ გველეშაპისათვის საბჭოთა კონსტიტუციის ეს ახალი მოჩვენება არის სხვა ერების მოტყუების ხერხი მათ წასახალისებლად, რათა მათ საბჭოთა კავშირში შესვლა მოიწადინონ, და ამგვარად მოსკოვის ბატონობა აღიარონ, — სინამდვილეში, რასაკვირველია, ეს ახალი კონსტიტუცია. იარაღია ბოლშევიკური ბატონობის გაფართოებისა ანუ ექსპანსიისათვის. საბჭოთა ერები ამ ოინს კარგად იცნობენ. ამ ერებს ბრალი არ უდევთ, თუ უცხოეთში ვინმე სტყუვდება ან თავს იტყუებს. ინგლისურ-ამერიკულ პრესაში ხოტბა-დიდება იწერება მოსკოვის მიერ გამოცხადებული კონსტიტუციის ახალი მუხლების შესახებ და იქ ამ თვალთმაქცობას სინამდვილედ და ჭეშმარიტებად ასაღებენ და ამგვარად თავის ხალხს ატყუებენ. ამ ტყუილის მიზანი კიდევ ის არის, რომ ხალხებს განუფანტონ შიში და დაარწმუნონ, რუსეთის ევროპაში შემოშვება, როგორც ამას ინგლის-ამერიკის მთავრობა ლამობს, სასურველიც არისო. გერმანიის ძლიერების წინ წამოჩოქებული ინგლის-ამერიკა საბჭოთა რუსეთს ჰპირდება ბალტიის სახელმწიფოებს, პოლონეთს და გავლენას ბალკანეთში. ინგლისს ჰგონია, ამით იგი მოსკოვს დააკმაყოფილებს და ვერ ხედავს, რომ თვითონ არის გაბმული რუსულ მახეში. და თუ ეს მახე გასხლტა, ინგლისსაც თავს წააგდებინებს. ამიტომ ინგლის-ამერიკა სცდილობენ თავისი ხალხები დაამშვიდონ, ბოლშევიზმი ევროპაში ვერ მოვა, საერთოდ ბოლშევიზმი ძველებური აღარაა, გამოიცვალაო და იმის საბუთად მოჰყავთ ეს უკანასკნელი ცვლილებაც. ეს „ცვლილება“ სწორედ დააფასეს მხოლოდ გერმანიამ და მისმა მეგობრებმა. აქ არავინ სტყუვდება, არც თავს იტყუებს, ყველა მას მორიგ თვალთმაქცობად სთვლის და საკითხი სდგას ისევ: ან გერმანიის გამარჯვება, ან ევროპის საბოლოოდ დაღუპვა. მესამე გამოსავალი არაა, თუ ინგლისი ნამდვილი საფრთხის წინაშე თავს სირაქლემასავით სილაში ჰყოფს და ამით თავის გადარჩენას ლამობს, — ეს უსუსური პოლიტიკაა და თუ დროზე გონს არ მოვიდა, მასაც იგივე დაღუპვა მოელის, როგორც მთლიანად ევროპას.

ჩვენ, ქართველებს, მოსკოვი ვერ მოგვატყუებს, ჩვენ ვიცნობთ მის შავ სულს, და მის ახალ, მორიგ თვალთმაქცობას ჩვენ ვხვდებით კვლავ იარაღით ხელში გერმანელ ჯარისკაცთან ერთად, ვინაიდან გვწამს: თავისუფლება მხოლოდ საბჭოთა კავშირის დანგრევით შეიძლება მოგვეპოვოს.

დღედაღამ დაუსვენებლად მუშაობენ მეკავშირეები ფრონტზე. გაწყვეტილი სადენი აღმოჩენილია, რამდენიმე წუთის შემდეგ კავშირი აღდგენილი იქნება.

ჩვენი გაზეთის მკითხველები

„მიმტკიცდება რწმენა“...

N ბატალიონის მეხუთე მუშათა ასეულის კორესპონდენტი **შ. მ-ძე** რედაქციას სწერს:

„სამუშაო საათების შემდეგ ლეგიონერები ხშირად ვიკრიბებით გაზეთ „საქართველოს“ კოლექტიური კითხვისათვის. რა სიამაყისა და სიამოვნების გრძნობა იბადება ყველა ჩვენთაგანის გულში! თვითეული წერილი მოგვაგონებს ჩვენს დროებით მიტოვებულ სამშობლოს, საყვარელ ოჯახს, მშობლებსა და მეგობრებს. კითხვის დროს ჩვეულებრივად იმართება აზრთა გაცვლა-გამოცვლა გაზეთში მოთავსებულ წერილებში დასმული საკითხების გარშემო. რა ბედნიერებაა!.. სამშობლოსაგან ათასი კილომეტრებით დაშორებულებს საშუალება გვეძლევა მშობლიურ ენაზე ვიკითხოთ და შემდეგ ვიმსჯელოთ ჩვენთვის საინტერესო თემებზე.

მშობლიური გაზეთის დახმარებით მე მიმტკიცდება რწმენა, რომ არც ისე შორს არის ის დრო, როდესაც ჩვენ დავბრუნდებით საქართველოში და შევუდგებით თავისუფალ ცხოვრებას“.

„შეუდარებელი განცდები“

აღმოსავლეთის ერთერთი ოლქის მილიციის თანამშრომელი, ქართველი მამულიშვილი **ა. ს-ძე** გვწერს:

„გთხოვთ მიიღოთ ჩემგან ნამდვილი ქართული მამულიშვილური სალამი. გაზ. „საქართველოს“ თვითეული ნომრის მიღება ჩემთვის განსაკუთრებულ დღესასწაულს წარმოადგენს. იმ დროს მე ყოველთვის განვიცდი უსაზღვრო კმაყოფილებისა და სიხარულის გრძნობას. კითხვისას ვცდილობ არ გამოვსტოვო არც ერთი სტრიქონი, არც ერთი ასო. გაზეთის ნომრები იშვიათი მონდომებითა და მზრუნველობით არის გაკეთებული. შინაარსი და მხატვრული გაფორმება სავსებით აკმაყოფილებს ჩემს და ალბათ ყველა ქართველის მოთხოვნილებას. გისურვებთ რედაქციის მთელ შემადგენლობას მომავალ წარმატებებს ამ ისტორიული მნიშვნელობის საქმეში“.

გამოუმშვიდობები

ლეგ. **ქ. რაჭველი**

გარეთ თოვლია, მშრალი ყინვა და ზამთრის დარი.
ცა მოჰგავს უკუნს, გულსაკლავად ზუზუნებს ქარი!
ჩამქრალ ბუხრის წინ მოხუც დედის მოისმის კვნესა,
თითქოს სიკვდილი იტაცებსო მის სიცოცხლესა.
მოსთქვამს მოხუცი მწარე ცრემლით (არ წყდება თოვა):
რა ულმერთოა მისი შვილი, როგორ დასტოვა!
ნუთუ მას გულში სიბრალული აღარც კი უდევს,
რომ თვალით არ სჩანს, არც აკითხავს მშობლიურ ბუდეს?

რათ არის ასე ულმობელი? არც ეცოდება,
რომ მისი დედა მის ლოდინში დღითიდღე დნება!..
ხან ჩაფიქრდება, ცრემლს შეიშრობს, სწამს ბედისწერა —
„ცოცხალიაო“, მაგრამ რა ქნას, რომ არ მოსწერა?!

ესა გვრის შიშს და გულს უღალავს, უმოკლებს წუთებს,
გრძელ მოლოდინში მქრალ ბუხრის წინ ღამეებს უთევს...
შვილის საწოლთან მიბარბაცდა ბედით ეული,
სურს კიდევ ნახოს ტანსაცმელი შვილისეული,
მეათასეჯერ დაეკონა, ცრემლით დანამა,
შემდეგ მის საწოლს დახედა დაშეაკრთო ამან,
ღონემიხდილი, მილეული მუხლებს დაეყრდნო,
წარსდგა ნაბიჯი, წაბარბაცდა, სისუსტე იგრძნო,

კვალად აკვნესდა: „ჰოი, შვილო, სადა ხარ, სადა?!..
მოგიკვდეს დედა!“ — და ატირდა გულსაკლავადა...
ასე თენდება ღამეები, უკრთება ძილი...
ნატრობს: მომაკვდავს ერთხელ მაინც ეხილა შვილი!

მაგრამ გაჰქრება ეს დღეები, გადივლის ქარი,
აღარ იქნება ეს უკუნი, ეს ნაწვიმარი,
ცეცხლმოდებული მზის სხივები გაადნობს ყინვას
და დაღარული დედის სახეც დაიწყებს ბრწყინვას!
მაშინ სიამეს, ალტაცებას დააფრქვევს დედა.
მადლს უძღვნის უფალს—შვილი ტყვიამ არ გაიმეტა,
ბედგავსებულნი ჩაეკვრიან ერთურთს მძლედ გულში
და შავ ფიქრებსაც გაფანტავენ ამ სიხარულში.

*

ს ი ნ ა ნ უ ლ ი

ლეგ. **მ. ჩ-ძე.**

ძმაო გენუკვი, დამისხი ღვინო,
ტანწვრილი ჰიქა დამიდგი გვერდით.
ჩვენ ხომ ყირიმში ერთად ვიბრძოდით,
ბრძოლის ველიდან ერთად მოვედით!
შუაღამეა და ბორდოს თქეში
ომში მოქანცულ გულს ეხეთქება.
ვიღაც ქალი ზის ჩემს ახლოს გვერდით
და თვალის ჩაკვრით „გსურს?“ —
მეკითხება.
მე ეს არ მინდა,— სულთქმა და ვნება,
ან ეს ტუჩები — ვინ მოგცა ნება!
ან აბორცვილი მაღალი მკერდი,
მეგობარს გულზე რომ ეტმასნება...
სირცხვილი დამწვავს, რომ ამ ბნელ
ღამეს
მეძავ ქუჩებში დავეხეტები.

ოთახში შევალ, ავანთებ სანთელს,
და დედის სურათს დავაშტერდები.
ქაღალდს ავიღებ, გავზომავ სიგრძეს
გამოვლილ მთების და თეთრი წყლების.
შვილი არ მხედავს მამას სამიწეს,
ყურსაც არ ესმის ტანჯულთა ხმები!
მე უცხო ქალაქს პატივი ვეცი,
მაგრამ კოლხეთის ბუნებას რა სჯობს?
და თუ ამ ქალაქს ვერ გავექეცი,
შეღებილ თმების სუნი დამახრჩობს!
ჩემს აქ ცხოვრებას აზრიც მაშინ აქვს,
თოფი და ღვინო რომ განვასხვავო,
თუ გული მამულს ენაცვალება, —
მსურს ყველა გრძნობა დავასაფლავო!

მოკავშირეთა“ ნამდვილი ზრახვები

ლეგ. **ზ. არაგველი.**

თავიანთ პოლიტიკურ მიზნებზე, მოკავშირეთა ბანაკიდან ბევრი რამ გვსმენია. მაგრამ ყველაფერი ის, რაც ითქვა ან დაიწერა, ატარებს მეტად ბუნდოვან და განუსაზღვრელ ხასიათს. პლუტოკრატების სხვადასხვა დეკლარაცია ერთად რომ შევკრიბოთ, რაღაც გაუგებარი შინაარსის დიდი წიგნი გამოვიდოდა, იგი სავსე იქნებოდა წინააღმდეგობებით და გაურკვეველი ცნებებით.

საქმე ის არის, რომ დემოკრატიული სახელმწიფოების ხელმძღვანელები, თუ არაფერს ვიტყვით სტალინზე, იძულებული არიან დაუმალონ ხალხთა ფართო მასებს თავიანთი ნამდვილი მიზნები ამ ომში.

მიუხედავად ასეთი ქაოსისა, ამ დეკლარაციების სტრიქონებს შორის და ხშირად აზდილადაც კი, შეიძლება ამოვიკითხოთ ომის გამჩაღებლების ნამდვილი ზრახვანი.

ფრანგმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ჟუომ განაცხადა, რომ „ამ ომის შემდეგ უნდა შეიქმნას ახალი სოციალური წყობა“. არაა საჭირო იმის მტკიცება, რომ ამ ახალი სოციალური წყობის ქვეშ მას ესმის ყველაზე პროგრესული და სოციალურად სამართლიანი წყობილება. თუ ძველი დემოკრატიული წესწყობილება არ არის ასეთი სამართლიანი ჟუოს გაგებითაც კი, მაშ რატომ დაიწყეს ომი ახალი პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ, ნაციონალ-სოციალიზმის წინააღმდეგ?

პასუხი ამ კითხვაზე შეიძლება ვიპოვოთ ინგლისის ლეიბორისტული პარტიის აღმასკომის მიერ შემუშავებულ პროექტში, სადაც ომის პროგრამა მოცემულია ცოტადთუბევრად კონკრეტულ ფორმებში:

„ევროპელი ერებისა და სახელმწიფოების სათავეში უნდა დადგეს ისეთ ხელისუფლებათა კოალიცია, რომელსაც ექნება სამხედრო და ეკონომიური კონტროლის უფლება“. ცოტათი ქვემოთ ჩვენ შეგვიძლია ამოვიკითხოთ, თუ როგორ ესმით ინგლისელ ლეიბორისტებს ეს სამხედრო და ეკონომიური „კონტროლი“:

„ამისათვის გერმანია ჩამოქვეითებულ უნდა იქნას მეორეხარისხოვანი სახელმწიფოს დონემდე“.

1940 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ არ იყო საომარ მდგომარეობაში გერმანიასთან და, მაშასადამე, არ სჭირდებოდა შეენიღბა თავისი სამხედრო მიზნები, ბოლშევიკები ასე განმარტავდნენ გერმანიის წინააღმდეგ ომის ინგლის-საფრანგეთის ბლოკის მიზნებს:

„ამრიგად, მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გერმანია დასუსტდეს და დაქვეითდეს ისე, როგორც იყო იგი ვესტფალის ზავის დროს მეჩვიდმეტე საუკუნეში“.

ეხლანდელი ომის ანტიგერმანული იმპერიალისტური ზრახვები კარგად სჩანს იმ განცხადებიდანაც, რომელიც მოთავსდა 1940 წელს ფრანგულ ყოველკვირეულ გაზ. „რევიუ პარლამენტერში“: „ვერსალის ხელშეკრულება იყო უსამართლო საფრანგეთის მიმართ (და არა გერმანიის მიმართ! —ავტორის შენიშ.). ელზას-ლოტარინგიის დაბრუნებით ფრანგებმა აინაზღაურეს მხოლოდ 1870 წლის ომის დროს დაკარგული ტერიტორია“.

მეტად საინტერესოა ფრანგულ ჟურნალ „ილუსტრასიონში“, 1940 წლის აპრილში დაბეჭდილი გეოგრაფიული რუკა. ამ რუკით სრულიად ჰქრება ყოველგვარი ილუზიები გერმანის მომავალი ბედის შესახებ მოკავშირეთა თვალსაზრისით. აი გერმანიის საზღვრების მოკლე აღწერა ამ რუკაში: დასავლეთის საზღვარი გადის რეინზე, ამასთან მდინარის მთელი მარცხენა სანაპირო ეკუთვნება საფრანგეთს. პოლონეთის საზღვარი გადის მდ. ოდერზე. მის ტერიტორიაში შეტანილია პომერანიისა და სილეზიის ნაწილები, მთელი აღმოსავლეთი პრუსია და ქ. დანციგი. ჩეხოსლოვაკია იღებს ავსტრიის, ბავარიის, სილეზიის, საქსონიის, უნგრეთისა და კარპატებს იქითა უკრაინის ნაწილებს. ბავარიის დანარჩენი ნაწილი გამოიყოფა გერმანიიდან და ცხადდება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

საფრანგეთში სცდილობდნენ აეხსნათ, რომ ეს იყო ძველი რუკა, რომელზედაც საზღვრები გავლებული იყო „უვიცი მხაზველების“ მიერ. მაგრამ ეს მტკნარი სიცრუე მხილებულ იქნა იმავე ჟურნალ „ილუსტრასიონში“ მოთავსებული ფოტოსურათით, სადაც ამ რუკის ხედზე პრემიერ-მინისტრის რეინოს კაბინეტში გადაღებულია თვითონ მინისტრი თავის ამერიკელ სტუმარ უელესთან ერთად. ეს კი, თავის მხრივ, ამტკიცებს, რომ საბედისწერო რუკის შედგენაში მონაწილეობდნენ ამერიკელი დიპლომატებიც.

ომის შემდგომი შორეული მიზნების გარდა, პლუტოკრატებს გააჩნიათ შედარებით უახლესი, ასე ვთქვათ, სადღეისო ამოცანებიც.

ამის შესახებ ბელგიის გაზეთი „მეტროპოლი“ ჯერ კიდევ 1939 წლის 21 ნოემბერს სწერდა: „ინგლისელი მრეწველნი მიისწრაფიან თავი დაიხსნიონ ომის ადრე დამთავრებისაგან“. აზრი გასაგებია, ომი [illegible] მსხვილ ტრესტებს და კარტელებს უდიდეს შემოსავალს. მაგ.: ინგლისის ტყვიის დამამზადებელი ერთერთი კომპანია ომის დასაწყისშივე ყოველდღიურად იღებდა წმინდა მოგებას 2,5 მილიონი დოლარის რაოდენობით. ერთერთი გაზეთის ცნობით, 228 სამრეწველო გაერთიანების შემოსავალი 389 მილიონი დოლარიდან ომის დაწყებისას გაიზარდა 740 მილიონამდე.

ინგლისი ყოველთვის ამაყობდა, რომ იგი წარმოადგენს ყველაზე „კლასიკური დემოკრატიის“ ქვეყანას. მაგრამ, ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ სახელმწიფოშიც „სამხედრო ცენზურამ“ უკვე საკმარისად დაუხშო პირი ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს, რომელნიც ასეთუისე ილაშქრებდნენ ომის წინააღმდეგ. ჩვენ ვიცით, რით აიხსნება ეხლა მათი სიჩუმე მაშინ, როდესაც არც ისე დიდი ხნის წინათ ინგლისურ გაზეთ „ჩელენჯში“ ვკითხულობდით: „რისთვის სწარმოებს ეს ომი? ჩვენს თაობას აქვს უფლება მიიღოს ამ კითხვაზე პასუხი. იცავს თუ არა ეს ომი პატარა ერებს და დემოკრატიას?.. ყოველ შემთხვევაში ასე ამბობდნენ ჩემბერლენი, ჩერჩილი, დალადიე და ბონე... ისტორიაში უმაგალითო პირმოთნეობით გვარწმუნებდნენ ისინი, რომ მათი მიზანია „ჰიტლერიზმის“ მოსპობა. მათ არა აქვთ არავითარი მიზანი. მათ დაიწყეს ეს ომი იმისათვის, რომ შეინარჩუნონ თავიანთი ვეებერთელა კოლონიური სამფლობელოები... დასაშვებია თუ არა, რომ ამისათვის ხოცავდნენ ჩვენს ხალხს?.. უნდა წინაღვუდგეთ ამ ომს, რომელიც მიმართულია ჩვენი ხალხის სიცოცხლის წინააღმდეგ“.

ასეთია ფხიზელი ხმა იმ ინგლისელებისა, რომელთაც უკვე გაიგეს ომის ნამდვილი მიზეზები. შესაძლებელია, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც ინგლისელი მშრომელი ხალხი, რომელთა ხარჯზეც სწარმოებს ეს ომი, თავისი პლუტოკრატული მთავრობის სურვილის წინააღმდეგ, სიტყვებიდან გადავა გადამწყვეტ საქმეებზე და ბოლოს მოუღებს ამ ანტიხალხურ ომს.

იცით თუ არა თქვენ?

...რომ იაპონია აშენებს მსოფლიოში უდიდეს ავტოსტრადას? აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებში პოლიტიკური ხელისუფლების კონსოლიდაციასთან ერთად თანდათან იზრდება ტექნიკური და საამშენებლო გეგმებისა და პროექტების რაოდენობა. ამჟამად მთელი მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილია იაპონიაში დაწყებული ახალი ავტოსტრადისადმი, რომელიც დედაქალაქ ტოკიოს შეაერთებს ნავსადგურ შონანთან (ყოფ. სინგაპური). ეს ავტოსტრადა იწყება ტოკიოდან, მიდის კუნძულ ხონსიუზე კორეის სრუტემდე, შემდეგ უკვე დაგეგმილი ხიდით თვით სრუტეზე, ანდა გვირაბით სრუტის ქვემოთ. ავტოსტრადა მიემართება ფურანიდან კორეაში, სეულზე გავლით ის აღწევს მანჯუ-დი-გოს სამრეწველო ცენტრს მუკდენის ახლოს და შემდეგ პეკინზე, ნანკინზე, ამოიაზე და კანტონზე გავლით მიდის ჩინეთის სანაპიროებზე მდებარე სამრეწველო რაიონებში. ავტოსტრადა გადასჭრის ინდო-ჩინეთს, გაივლის ხანოის, საიგონს, ბანგკონგს, მალაის ჯუნგლებს, კალის მაღაროებს და კაუჩუკის პლანტაციებზე გავლით აღწევს შონანს. ავტოსტრადის სიგრძე უდრის 12.000 კილომეტრს; ის გადასჭრის შვიდ ქვეყანას და აქვს არამარტო ეკონომიური, არამედ მეტად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა — აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებში იაპონიის დომინიური მდგომარეობის განმტკიცებისათვის.

საინტერესო თემაზე

ცენტრალური გათბობა ქრისტეს დაბადებამდე

ქრისტეს დაბადებამდე ასი წლით ადრე, რომის მცხოვრებლები იცნობდნენ ცენტრალურ გათბობას ცხელი ჰაერით, რომელსაც ისინი „ჰიპოკაუსტუმს“ უწოდებდნენ. საშუალო საუკუნეებში სხვადასხვა დიდ და კულტურულად მოწყობილ სახლებში აწყობდნენ ცენტრალურ გათბობას. მაგალითად; ქ. ლიუნებერგში ამგვარი გათბობა მოქმედებს დღემდე.

თანამედროვე ცენტრალური გათბობა გარმანიაში პირველად მოეწყო არქიტექტორ მანგერის მიერ პოტსდამის სასახლეში, ფრიდრიხ დიდის სამუშაო ოთახში. ის წარმოადგენს რკინის ღუმელს და თიხის საკანს ჰაერისათვის, რომელიც მეფის ოთახში მთავრდებოდა. მილის ბოლო, საიდანაც გამოდიოდა თბილი ჰაერი, გაკეთებული იყო დრაკონის თავის ფორმით. ეს გათბობაც მოქმედებს დღემდე.

ზღარბის იმუნიტეტი

ზღარბის სხეულში არავითარ გართულებას არ იწვევს შხამიანი გველების ნაკბენი. ის ადვილად იტანს გველის შხამის დიდ დოზას. არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს მისთვის აგრეთვე გოგირდმჟავა. ეს საკვირველი მოვლენა აიხსნება ალბათ იმით, რომ ყველა სახის გარეული წვრილფეხა ცხოველებიდან ზღარბი ყველაზე ძველი ცხოველია, რომლის არსებობის ისტორია 2 მილიონ წელს უდრის. ამ ხნის განმავლობაში ზღარბმა ალბათ გამოიმუშავა ქვემძრომი ცხოველების შხამის საწინააღმდეგო საშუალება, რომელიც იცავს მის სიცოცხლეს.

ლაშქრობა ბანდების წინაალმდეგ ბოსნიაში.

სახუმარო ამბები

ბეჯითი

—სად ატარებთ თქვენ თავისუფალ საღამოს?

—თავისუფალი საღამო მე არა მაქვს!

— ღამითაც მუშაობთ?

— არა, შვიდ საათზე ლოგინში ვწვები!

სტეფანე მართალს ამბობს

პირველი: გაიგონეთ, სტეფანე ამტკიცებდა, თითქოს მე და თქვენ ერთმანეთს ვგავდეთ!

მეორე: სად არის სტეფანე? ამისთვის მინდა მას ერთი სილა ვსტკიცო!

პირველი: დამშვიდდით! მე მას უკვე ვსტკიცე სილა.

მსგავსება

ცოლი: ჩვენი ბიჭიკო თანდათან შენ გემსგავსება.

ქმარი: რა დააშავა მან კიდევ?!

ცოდვები

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტ კულიჯს ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. როდესაც იგი ერთხელ ეკლესიიდან სახლში თავის ცოლთან დაბრუნდა და ცოლმა ჰკითხა — კარგი იყო თუ არა ქადაგებაო, მან თავი დაუქნია მხოლოდ.

— რაზე ლაპარაკობდა?

— ცოდვებზე.

— რა სთქვა მქადაგებელმა ამის შესახებ?

— ის ამის წინააღმდეგია!

გონიერი ძაღლი

— ჩემი ძაღლი მეტად გონიერია.

— ეს მეც შევნიშნე. ყოველთვის, როცა თქვენ თოფს ისვრით, ის ხის უკან იმალება!

შეუძლებლობა

— „შეუძლება“, სთქვა პოეტმა, „არის ნავსადგური, სადაც ორი გემი ცხოვრების ზღვისა, ერთად შეხვდებიან“.

— ჰმ... მაშ მე სამხედრო გემს შევხვედრივარ!

უთავო

ფრიდრიხ დიდმა დრეზდენში, გრაფი ბრიულის სასახლეში მისი მრავალი პარიკი დაინახა და თავი გაიქნია: „ამდენი პარიკი ერთი კაცისათვის, რომელსაც თავი არა აქვს!?“

შარვლის ღილი

— ურიგოს არ იზამდი, რომ შარვალზე ღილი დაგეკერებინა!

— მინდოდა კიდეც, მაგრამ დღეს დილით კარგად ვერ ვიყავი, და, გარდა ამისა, შენთვის რა უფრო მთავარია, შენი ცოლი, თუ შენი შარვალი?

— თუ ასე დანამდვილებით გინდა გაიგო, უცოლოდ ყველგან შემიძლია წასვლა!

ტყუპები

— ჩემი ქმარი და მაზლი ტყუპები არიან.

— მერე ერთს მეორისაგან როგორ არჩევ?

— ჩემს ქმარს ჩვეულებად აქვს —დილით რომ ადგება, ერთი ჭიქა წყალი უნდა დალიოს!

*

— ჩემი ცოლი და მისი და ტყუპები არიან.

— მერე ერთს მეორისაგან როგორ არჩევ?

— ეს ჩემი საქმე არ არის, ეს ქალების საქმეა!

შფოთი, შეთქმულება და აჯანყებანი

დასასრული

საშუალო საუკუნეთა საქართველოს სამეფო აკვირვებს დასავლეთის მოგზაურებს, მარკო პოლოს, რუი გონზალესს დე კლავიჯიოს და სხვებს, როგორც განმარტოებული საზოგადოება დასავლეთის კულტურისა და ქრისტიანული სარწმუნოებისა, გადარჩენილი ძლევამოსილ მუსულმანურ ტირანიათა და ნახევრადველურ ტომთა და ხალხთა შორის. და ეხლა ჩვენ იმდენად არ უნდა გვაწცვიფრებდეს ქართველთა სამხედრო გმირობა, ამ კულტურის დამოუკიდებლობა რომ დაიცვა, რამდენადაც მათი ცხოვრების კლასიკურ ტრადიციათა სიმტკიცე და აღმოსავლური ქრისტიანული ცივილიზაციის სიმაგრე, რომელსაც შეეძლო თვითეული გამანადგურებელი ქარიშხალის შემდეგ, კოლხეთის ძველ მიწაზე სიცოცხლის ახალი კვირტები კვლავ გაეფურჩქნა.

როდესაც სომხური სამეფო დაიმსხვრა, როდესაც ელინური აზიის მდიდარი ქალაქები ნანგრევებად იქცნენ, როდესაც ჭაბუკი კიევის სახელმწიფო და ქიმერიელთა ბოსფორის ამაყი სავაჭრო ცენტრები წალეკილ იქნენ, — დიადი კლასიკური მსოფლიოს უკანასკნელი ნატეხი, რომელიც გადარჩა — იყო ქართველთა სამეფო.

და ქართული კლასიციზმის ძლიერება, თუმცა ნაკლებად გაგებული, თუმცა დამარხული ლევენდარულ შეჯახებათა ნანგრევებში, უნდა შეთვისებულ იქნას, თუ ჩვენ გვსურს დავაფასოთ საშუალო საუკუნეთა სამეფოს ხასიათი“.

ჩვენ განზრახ ამოვწერეთ ალენის ეს გრძელი ციტატა — მეტად ორიგინალური და საინტერესო დახასიათება. თუმცა ზოგიერთი მისი დებულება ადვილად გასაგები არაა, მაგრამ ვინც ჩასწვდება მის დედაარსს, იგი აქ საგულისხმო აზრებს იპოვის. დაეთანხმებით ალენს თუ არა, გაიზიარებთ მის ყველა შეხედულებას თუ არა, ერთი მაინც უდაო რჩება; როგორც ალენი ამბობს, ქართველები არ იბრძვიან პრინციპის გულისათვის, მაგრამ იბრძვიან როგორც ერი, არიან გმირები და სამშობლოს დაცვას რაინდულად თავსა სწირავენ, ვინაიდან მათ აქვთ „მეტად მყარი და ღრმა გრძნობა თავისი მთლიანობისა, როგორც ერის, და თავისი ინდივიდუალობისა, როგორც ერის; რადგან ქართველები თვითონ ერს ეთაყვანებიან და არა ამათუიმ პრინციპს“. ყოველშემთხვევაში, ქართველობას ყოველთვის ჰქონდა ერთი პრინციპი: ჩვენის აზრით ეს იყო თავისი ერის დაცვისა და გადარჩენის პრინციპი; ამას ქართველობა ანხორციელებდა ხან პირდაპირი შეტევითი ბრძოლით, ხან თავდაცვითი ბრძოლით, ხან შეგუებითა და მოლოდინის პოლიტიკით, მაგრამ არასოდეს თავის თავზე უარის თქმით. ყველა ეს ბრძოლა განსაკუთრებული სიცხადით სჩანს რუსეთთან გამართულ საომარ ასპარეზზე. საქართველოში მომხდარი ყველა აჯანყება დასრულდა სისხლიანი მარცხით; 60-ანი წლებიდან ქართველ ინტელიგენციას მეტად რთული საკითხი წამოეჭრა წინ. მას დაეკისრა მძიმე ეროვნული ამოცანის ახსნა: რომელი გზით უნდა წარმართულიყო საქართველოს გამანთავისუფლებელი ბრძოლა?

ყოველ ისტორიულ ხანაში თვითეული თაობა თავის საისტორიო ამოცანებს ხსნის და ისტორიულ ამოცანებს გამოიცნობს. ამოცანის გადაჭრა და გამოცანის გამოცნობა — ეს მსოფლმხედველობითი მოვლენაა და იდეოლოგიურ დარვს ეკუთვნის, ხოლო ამ გადაჭრილი საკითხის მოგვარება, მისი ცხოვრებაში გატარება მოქმედების შესაძლებლობათა არეშია, ანუ, როგორც იტყვიან, ტაქტიკის საკითხია.

ილია ჭავჭავაძის თაობამ სამოციან წლებში თავისი ისტორიული ამოცანა ასე გაიგო: ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნისო, ესე იგი საქართველო უნდა იყოს თავისუფალი, დამოუკიდებელიო.

როგორ? რა გზით?

1832 წლის შეთქმულების მონაწილე, ჩვენი სახელოვანი მგოსანი და მხედარი გრიგოლ ორბელიანი უმტკიცებდა დიმიტრი ყაზბეგს, რომ რუსებს ეხლავე გავრეკავთ და საქართველოს სახელმწიფოს აღვადგენთო. დიმიტრი ყაზბეგი სინამდვილის კაცი იყო და უპასუხებდა: საქართველო ჯერ უნდა მოემზადოს და მისი განთავისუფლება ასი წლის შემდეგ მოხდებაო (ეს იყო მისი ჭეშმარიტი წინასწარმეტყველება!). 1832 წლის შეთქმულების მონაწილე გრიგოლ ორბელიანმა საქართველო ვერ გაანთავისუფლა, 1841 წელს გურიის აჯანყების ჩაქრობაში მონაწილეობა მიიღო და ჯილდოც მიენიჭა, ხოლო, როგორც კავკასიის მთავარმართებლის მოადგილე, იგი მოწმე გახდა მეორე აჯანყებისა, ეხლა თბილისში, 1865 წელს, რომელიც მან თვითონ დააშოშმინა.

მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების თაობისათვის აჯანყების იარაღი სრულიად მიუღებელი და გამოუსადეგარი იყო და ამგვარად სისხლით ბრძოლა — უარყოფილი. მაშასადამე, ბრძოლა იმჟამად სხვა გზით უნდა წარმოებულიყო.

ვ. ნოზაძე.

ნარევი

ბუნების რეკორდები

ყველაზე დიდი

მსოფლიოში ცნობილი სხეულებიდან ყველაზე უფრო დიდია ვარსკვლავი ანტარესი მორიელის თანავარსკვლავედიდან. მოცულობით იგი 36 მილიონჯერ აღემატება მზეს.

ყველაზე პატარა

ბუნებაში ცნობილი ნივთიერებიდან ყველაზე პატარა წყალბადის ატომის ბირთვია (პროტონი). მისი დიამეტრი დაახლოვებით მილიმეტრის მემილიონედს უდრის.

ყველაზე მკვრივი

. ბუნებაში ყველაზე მკვრივია მატერია, რომლიდანაც შესდგება ვარსკვლავი ვან-მანენი თევზთა თანავარსკვლავედიდან. იგი ნახევარმილიონჯერ უფრო მკვრივია ვიდრე წყალი. ამ ნივთიერების თხილის ზომის ბურთულა ჩვენს დედამიწაზე აიწონიდა მთელ ტონას..

ყველაზე სწრაფი

სინათლის სხივები და რადიოტალღები ვრცელდება სივრცეში 300 ათასი კილომეტრის სისწრაფით წუთში.

ყველაზე ცხელი

მზისა და ვარსკვლავების წიაღში ტემპერატურა აღწევს 50 მილიონ გრადუსს. ასეთი ტემპერატურის მქონე ქინძისთავისოდენა ნივთიერებას შეუძლია გადასწვას 1.500 კვ. კილომეტრი ფართობი.

ატლანტიის ოკეანის უდიდესი სიღრმე

უკანასკნელ დრომდე ატლანტიის ოკეანეში არ იყო ცნობილი 8.530 მეტრზე მეტი სიღრმე. რამდენიმე ხნის წინათ კარაიბის ზღვაში, ენგანოს კონცხის ახლოს, აღმოჩენილია ადგილი, სადაც წყლის სიღრმემ მიაღწია 8.737 მეტრს. ეს არის ყველაზე დიდი სიღრმე ოკეანეში, რომელიც ცნობილი იყო დღევანდლამდე.

*

რის გამოგონებაა კიდევ საჭირო?

ერთმა სტატისტიკოსმა გამოაქვეყნა უახლოეს 25 წელიწადში მოსალოდნელ გამოგონებათა სია. სიაში მოთავსებული 20 გამოგონებიდან მოგვყავს შემდეგი:

ავტომანქანა, რომელიც მოძრაობს არამარტო წინ და უკან, არამედ გვერდითი მიმართულებითაც. ეს გამოგონება აუცილებელია დიდ ქალაქებში მოძრაობის პრობლემის გადასაწყვეტად.

პრაქტიკული მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც თვითმფრინავი ადგილიდანვე (ნიადაგიდან ან შენობის სახურავიდან) შესძლებს ჰაერში აფრენას მიწაზე წინასწარი გარბენის გარეშე, რაც თავის მხრივ საჭიროებს სპეციალურ აეროდრომებს.

სინათლის წყარო, რომელიც შესძლებს გაჭკვეთოს ყველაზე სქელი ნისლი. გამოგონება უზრუნველჰყოფს საჰაერო და სანაოსნო მგზავრობის უსაფრთხოებას.

ქალაქი უცეცხლოდ, სადაც სახლებში არ იქნება გასათბობი და სამზარეულო ღუმელები. ცეცხლი და სითბო გადაიცემა სპეციალური მოწყობილობიდან ყველა სახლში, როგორც ეხლა ელექტრონისა და გაზის გადაცემა სწარმოებს.

ცივი სინათლე. როგორც ცნობილია, ელექტრონის ნათურებში ენერგიის საგრძნობი ნაწილი იხარჯება სრულიად უსარგებლო გათბობაზე. ეს სითბო გამოყენებული უნდა იქნას განსაკუთრებულ მაცივრებში ელექტრონის საგაზო სადგურების მსგავსად.

„მოლაპარაკე“ წიგნები. ასეთი წიგნის ფურცლებმა უნდა ილაპარაკონ გრამოფონის მსგავსად.

სინთეტური საკვები. სტატისტიკოსი უჩვენებს, რომ რძის, კარაქისა და ყველის დამზადება ეხლა შესაძლებელია ნავთობის გადამუშავებისას მიღებული ნარჩენებიდან. ვიტამინები ამ საკვებში შეტანილ უნდა იქნას განსაკუთრებული ხელოვნური მცენარეებიდან.

ზოგიერთი ამ გამოგონებიდან უკვე შესრულებულია, როგორც მაგ. „მოლაპარაკე“ წიგნები. უმეტეს მათგანზე კი გამომგონებლები ჯერ კიდევ ბევრს იმუშავებენ.

შეამოწმე შენი ცოდნა

1. რას უწოდებენ ესკალატორს?
2. რა არის კიმონო?
3. საიდან წარმოსდგება სახელწოდება საქსაფონი?
4. რა არის, თუ ვინ არის დიზელი?
5. ვინ არის ქიმიურ ელემენტთა პერიოდული სისტემის ცხრილის ჩამომყალიბებელი?

მთავარი რედაქტორი
ასმეთ. ბაი მაღლაკელიძე
რედაქციის მისამართი:
Georgische Zeitung „Sakarthwelo“.
Berlin W 7, Dorotheenstraße 64

ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა